

ვათვე გაფარჩიოთ შოვლენა, შევამოწმოთ ყველაფერი, რაც ეტიუდში მოვხა-  
ზეთ.

მაგიდასთან პიესით შემოწმება — ფაქტიურად მოვლენათა რიგის აგების  
ლოგიკაში და შევებული შეცდომების გამოვლენაა. აქ რეჟისორი და მსახიობე-  
ბი ეძებენ დეფექტებს მოვლენათა რიგის ლოგიკურ კავშირებში.

შემოწმება პიესის ძირითადი მოვლენიდან უნდა დავიწყოთ. კარგია, თუ  
რეპეტიციაზე მივიწვევთ ახალ ადამიანს, რომელიც არ იცნობს პიესას, ან ცუ-  
დად ახსოვს იგი. ეს ადამიანი უნდა იქცეოს კატალიზატორად, რომელიც გააჩა-  
ლებს კამათს თქვენი კონსტრუქციის ყველაზე უფრო სუსტი ადგილების ირგვ-  
ლივ.

პიესით შემოწმება — ქმედების ვარიანტების შემოწმებაა. რაც უფრო  
ხშირად მიმართავს რეჟისორი იმპროვიზაციის საშუალებით მიგნებულის შე-  
მოწმებას, მით უფრო დაშვიდებით შეუქმლია აწარმოოს ცდები მომავალი  
სპექტაკლის გამჭოლი მოქმედების აგების დროს.

\* \* \*

ამ მეთოდით მუშაობის დროს მსახიობს ემუქრება საშიშროებანი, ამიტომ  
ისინი უნდა დავასახელოთ.

1. არ უნდა დავიწყოთ, რომ ქმედითი ანალიზი როლზე მუშაობის მ ხ თ-  
ლ თ დ დ ა ს ა წ ყ ი ს ი ა, მხოლოდ როლთან მსახიობის მისტერია.

2. არ შეიძლება ქმედითი ანალიზი ავურიოთ სპექტაკლის ნაჩეარევად მო-  
ხსევაში.

3. უნდა ვუფროთხილდეთ — იმპროვიზაციამ მსახიობები სპექტაკლზე დი-  
ალოვის გამოვლენების არ შეაჩინოს. იმპროვიზაცია — მოქმედების შეთხზვა და  
არა ცული ლიტერატურული ტექსტის; ეს უკანასკნელი ადუნებს მოქმედებას.  
ეტიუდში სიტყვა რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს. და, რა თქმა უნდა,  
ავტორის სიტყვა ცუდ საკუთარ ტექსტზე უმჯობეს იყოს. და, რა თქმა უნდა,  
ავტორის სიტყვა ცუდ საკუთარ ტექსტზე უმჯობეს იყოს.

4. ეტიუდი საჭიროა როლისა და პიესის ანალიზის პროცესში როგორც  
საწყისი ეტაპი. თუ მსახიობი უკვე გაერკავა, რა ხდება, მისი ხელოვნურად შე-  
ჩერება განვლილზე საჭირო არ არის.

5. ზოგჯერ, გამეორების დროს, მსახიობი იწყებს ეტიუდის ფიქსი-  
რებას. ამას უნდა ვებრძოთ თ. როგორც კი ეტიუდი ახლის ძი-  
ების მაგივრად გამეორებად იქცევა, აღარაფერი ზუსტდება ფიზიკური მოქმე-  
დების ხაზით, უნდა შეწყდეს მუშაობა. აქ ან ანალიზი არ არის სწორად გაკე-  
თებული, ან შემდეგ ეტაზზე გადასვლის დრო დამდგარა.

6. მეთოდს შეუჩვეველი მსახიობი დასაწყისში მორცეობს და მთელი

მისი ენერგია დაჭიმულობის დაძლევას ხმარდება. ზოგიერთები კი უარს ამ-  
ბობენ ამ მეთოდით მუშაობაზე. ესეც მორცევობის შედეგია. ზოგს ასეთი მე-  
თოდი ზედმეტად, ბავშვურ თამაშად, რეჟისორის ექსპერიმენტით გატაცებად  
ეჩვენება, რადგან რეპეტიცია თეატრალური სასწავლებლის I კურსის ეტიუ-  
დებს აგონებს. რეჟისორმა უნდა აანთოს მსახიობები, გა-  
ათავისუფლოს დაჭიმულობისაგან, უნდა აქციოს რეჟისორულობაში, გა-  
პეტიციაში მსახიობის მეთოდის მიზანს შეურაფულობაში.

7. მეთოდი ძალიან უბრალოა. ის ძალით ახლოა ორგანულ ბუნებისთვის.  
არ არის საჭირო მისი გართულება, მისი გარშემო ფილოსოფიისობა და ტეინის  
ჰიყლეტა. რაც უფრო უბრალოდ გავიგდოთ მას, შედეგიც უკეთესია.

მეთოდის ძირითადი მიზანია გაათავისუფლოს მსახიობი, მისი ბუნება ძალ-  
დატანებისაგან, რათა მიეცეს შესაძლებლობა თავიდანვე ჩაერთოს შემოქმე-  
დებითს პროცესში.

ფიზიკურ მოქმედებათა მეთოდი არა ჩინური ფაიფურის საიდუმლო, მაგ-  
რამ ამ მეთოდით მუშაობა ყველას არ შეუძლია. როგორც ალადინის ლამპარი  
მხოლოდ პატრონის ხელში ენთო, მეთოდიც მხოლოდ იმ შემთხვევაში „მუშა-  
ობს“, თუ მას შემოქმედებითად მიუღებან, და რაც მთავარია, როცა მისი  
გერის. მეთოდის გამოყენების საკითხში ყველაფერს შემოქმედებითი მომენტი  
წყვიტს.

მაში, როგორ ვაწარმოოთ პიესის და როლის ქმედითი ანალიზი?

რამდენიმე დღეში მაგიდასთან ირკვევა პიესის ძირითადი მოვლენები. გარ-  
კვევის შემდეგ ვდევებით მაგილდან და ვცდილობთ პიესა თავიდან ბოლომდე  
გავითამაშოთ მოვლენების მიხედვით (შეიძლება ჩვენი სიტყვებით). როცა მთა-  
ვარი მოვლენები ნათელია, იწყება ქმედების თანდათანობითი დამუშავება.  
ყველაფერი ხდება პრინციპით: დიდი მოვლენებიდან თანდათან პატარებისა-  
კენ. და ასე, წვრილმანიდე.

რაშია ქმედითი ანალიზის უპირატესობა?

1. უცბად ირკვევა, რა არის მთავარი, რა — მეორეხარისხოვანი.
  2. უცბად ხდება იდეური აქცენტების დასმა.
  3. უცბად ზუსტდება პიესის და როლის გამჭოლი მოქმედება.
  4. ადვილად მყარდება პერსონაჟთა შორის დამოკიდებულებები.
  5. ხასიათის ძერწვის პროცესი ანალიზის პერიოდშივე მიმდინარეობს და  
არა ცალკე.
6. ქმედითი ანალიზის გზით სკლა ძნელი და ხანგრძლივი პროცესია, სა-  
ნამ მეთოდს დაეუფლებოდე, შემდეგ კი სპექტაკლზე მუშაობის დრო საგრძ-  
ნობლად მცირდება.

## ზერიცხალება

ჰამლეტი — „თეატრის აზრი უწინაც ის ყოვლა და ღლესაც ის არის, ჩომ ბუნე ბას სარკედ გაუხდეს, სათნოებას მისი სახის მეტყველება აჩვენას, ბიჭიერებას მისი უმსგავსობა, ღრივებას და ხალხს მათი ვითარება და ნაჯვალევა“.

შაიგოვსი — არა, თეატრი გამომსახველი სარკე როდია, იგი გამადიდებელი უშაა.

ჰუკო — დაახ, თეატრი იპტიკური ხელსაწყოა. გაში შეძლება აისახოს ყველაფერი, რაც არსებობს ისტორიაში, ცხოვრებაში, დამანში, მაგრამ ხელოვნების ჭადოს ურ რი ჭოხის მეშვეობით.

ტურბინი — ხელოვნება, საქრთვო, გრან-დიოზული პირობითობაა და ესაა მისი ძალა.

(გამოგონილი დიალოგი თეატრის შესახებ)

## დიალოგი გოგი გეგმიშვილთან

გოგი თეატრიდან ცოტა დაღლილი, აღლულებული მოდიოდა. ეტყობა, რეჟისტრიციამ მთლად კარგად ვერ ჩაიარა.

— როგორაა საქმე?

— ამ ბოლო დროს როლის თამაში ძალიან გაძნელდა. დღეს ყველა რეჟისორი მოითხოვს — როლს ავტორის „გასაღები“ მიუყენოთ, ამას გარდა, რეჟისორის „გასაღებიცო“. ეს „გასაღებიცო“ კიდევ სხვადასხვაა. სად იშოვოს საწყალმა მსახიობმა ამდენი „გასაღები?“

— განა წინათ როლზე მუშაობის დროს არ არგვბდნენ ამ გასაღებს?

— წინათ მთავარი იყო ბუნებრივად და დამაჯერებლად მეთამაშა.

— მთლად ეგრე არაა. განა წინათ ბუნებრივად და დამაჯერებლად არ თა-

მაშობდი დონ სეზარს, ქათამაძეს, გაიძერა მგელს, მაგრამ ყოველ მათვანს თავისი „გასაღები“ ჰქონდა. იმათი ბუნებრიობა ხომ სულ სხვადასხვა იყო.

— ალბათ ეგრეა, — გოგი გაჩუმდა და მერე დასძინა; — აი, მხატვარი ელენე ანგლელიანი მთელი თავისი სიცოცხლე ერთი გასაღებით მუშაობდა, პოეტი ანა კალანდაძე ლექსებს ერთადერთი გასაღებით წერს. ჩვენ კი... რა უბედური ხალხი ვართ, მსახიობები...

— რეჟისორებიც, მომღერლებიც, პიანისტებიც... დიახ, ეს ასეა. სვიატოსლავ რიხტერი სრულიად სხვადასხვა „გასაღებს“ უყვენებს ბეთჰოვენს, დებიუსს, პროკოფიევს.

— იქნებ ვკითხოთ, როგორ ახერხებს ამ „გასაღების“ პოენს? — უკვე ხუმრობს ვოგი.

— რიტერი ასე მმთხოს: „მე ვცდილობ წავიკითხო ის, რაც დაწერილია ნოტებით“. უკეთესად ვერ იტყვი.

ჩემი ახალგაზრდობის უამს კულტურისა და დასვენების თთქმის ყველა პარკში და, ასე განსაჯეთ, ბაზარშიც კი არსებობდა „სიცილის ოთახი“. ამ ოთახში შესასვლელად ბილეთი უნდა გეყიდათ. კედლებზე გაკრული იყო ნაირ-ნაირი ფორმის და სახის მრუდე სარკეები (ფრანგული სიტყვა უანრი — სწორედ „სახეს“, „გვარს“ ნიშნავს). შემოსულნი ერთი სარკიდან მეორისაკენ ინაცვლებდნენ, თავშეუკავებლად ხარხარებდნენ, •უხარიდათ თავისი უჩვეულო ფერიცვალება. სარკის წინ მდგომი ადამიანი მასში ისე აისახებოდა, რომ სრულიად შეიცვლიდა თავის სახესა და პროპორციებს, ეს დამოკიდებული იყო სარკის სიბრტყის გამრუდებაზე. როცა სხვადასხვაგარად გაღუნულ სარკეებს ჩაუვლიდა, ხან ძალიან გამხდარი ხდებოდა, ხან ძალიან მსუქანი, ფეხები უმოკლდებოდა, თავი ვეება გოგრად გადაექცეოდა, ანდა პირიქით. სარკის წინ მდგომნი სხვადასხვა პოზებს! იღებდნენ და მრუდე სარკეებში ასახული ფიგურები კიდევ უფრო სასაცილონი ხდებოდნენ, ადამიანები კი უფრო ხმამაღლა და გულითადად ხარხარებდნენ. მაგრამ ამ „მრუდე სარკეში“ მარტო სასაცილო გამოსახულება როდი ჩანდა: აქ იყო ტრაგიული პირქუში ფიგურებიც, იყვნენ უსუსურნი და კაშნით დატვირთულნიც.

„სიცილის ოთახის“ შესასვლელთან ჩვეულებრივი სარკე ეკიდა. მოსულნი ამ სარკეში, ჩეკულებრივ, ოთახიდან გამოსვლისას იყურებოდნენ, სავინიციობოდ, გულის დასამშვიდებლად — მრუდე სარკის გამოსახულებამ ჩვენზე რაიმე კვალი ხომ არ დატოვაო, ან უბრალოდ, ერთხელ კიდევ შევავლოთ თვალი ჩვენს თავს ამდენი ფერიცვალების შემდეგო.

ადამიანი ნორმალურ სარკეში ისახება ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, მაგრამ როგორც კი ჩაიხდავს გარკვეული კუთხით გამრუდებულ სარკეში,

მისი გამოსახულება კვლავ გამრუდდება, ან, უფრო სწორად, იგი გარდაიქმნება სხვა, თუმცა კი რილაცით მსგავს ადამიანად. კაცმა რომ თქვას, ის ხომ იგივე რჩება. ამჯერად ხომ სარკის ზედაპირმა მიანიჭა მისი სხეულის სხვადასხვა ნაწილს ახალი თვისება — შეეუმშვა თუ შევიწროება, გაფართოება თუ დამსხვილება, მაგრამ ადამიანს არ დაუკარგავს ამ ნაწილთა ბუნებრივი კავშირები.

თუ ჩვეულებრივი ვაშლის წინ სწორი კუთხით დავდგამთ სარკეს, გამოსახულება ზუსტი იქნება, ოღონდ მხარშექცევით. ვაშლი გამოიჩატება ისე, როგორც „ნამდვილი“, მაგრამ როგორც კი ოდნავ შეცვლით ანარეკლის გრაფიქს (როგორც ეს სიცილის ოთახში ხდება ხოლმე), ვაშლის კონტური განიცდის ცვლილებას და უკვე ვაშლის სხვა გამოსახულებას ვხედავთ. ამ გამოსახულების პირობითობის ხარისხი დამოკიდებულია სარკის გამრუდების ხარისხზე, ხელოვნებაში სარკის როლს ხელოვანი თამაშობს. ხელოვანი გარემო სამყაროს პირობითობის ამა თუ იმ ზომით წარმოაჩენს. ეს დამოკიდებულია მისი ნიჭის ხარისხსა და თვისებაზე. ხელოვნება ყოველთვის პირობითია, მაგრამ ყველა ნაწარმოები როდი ექვემდებარება პირობითობის ერთსა და იმავე ხარისხს.

ჩვენ ვდგავართ ვან-დეიის ცნობილი „გასტრიონმიული“ ნატურალოტის წინ. ტილოზე დახატული თევზი, ნანადირევი, ხილი და ა. შ. იმდენად ჰგვანან ნამდვილებს, რომ გინდათ ხელი მოჰკიდოთ. მაგრამ საკმარისია ერთი ვაშლი ძოშრათ და წარმოქმნილი სიცარიელე ზუსტად ასეთივე ნამდვილი ვაშლით შეაკრის, რომ სურათს ფასი დაუკარგება და გადასაგდები გახდება. რა მოხდა? დაირღვა პირობითობის ხარისხი. ცხოვრების სიმართლე და ხელოვნების სიმართლე ხომ სულ სხვადასხვა რამა. მხატვარი ცხოვრებას ასახეს მხოლოდ საკუთარი, განუმეორებელი „გასაღების“ მიხედვით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პირობითობით.

შევადაროთ ერთი და იგივე მოვლენის ასახვის გზა სამი სხვადასხვა მხატვრის შემოქმედებაში. ივიღოთ მიქელანჯელო, ძველი ქართული მინიატურა და უან ეიფელი — ადამი და ევა ხე ცნობადის წინ (სურ. 23, ა, ბ, გ).

იმდენად განსხვავებულია პირობითობის ხარისხი, რომ ასენა საჭირო აღარ არის.

როგორ გავიგოთ პირობითობა თეატრალურ ხელოვნებაში?

სცენაზე ორი კაცი გამოვიდა. მათ დედოფლალს დიდი თავი, ჩვეულებრივი საკიდარი და მხარზე გადაგდებული შავი სამეცლისო ტანსაცმელი გამოიტანეს. მსახიობებმა თავი დაუკრეს საზოგადოებას, ტანისამოსი საკიდარზე ჯავიდეს, დედოფლალს თავი მოარევს და იქვე შეუდგნენ დედოფლალს გაცო-



სურ. 23 ა



სურ. 23 ბ



სურ. 23 გ

ცხლებას. და თუმცა ჩვენ წინ ტრიალებდა კაბიანი საკიდარი, რომელიც საგან-გბოდ არ დამალეს, რათა ხაზი გაესვათ პირობითობისათვის, მსახიობთა გვერდით წარმოშვა ვნებიანი ქალი, რომელიც მღერილა, ცეკვავდა ბოსტონს, იცინოდა, კეკლუცობდა და ხიბლავდა თავის მეურვეებს — ხან ერთს, ხან მეორეს. თანდათან მ ა ყ უ რ ე ბ ლ ი ს წ ა რ მ თ ს ა ხ ვ ა შ ი მისი უშუალო მონაწილეობით ახარსებულიდან წარმომდგარმა არსებამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, გამოეყო თავის მეურვეებს. ამ ახალ ქალს გაუჩნდა ხასიათი, ტემპერატური, ემოციურობა, ბოლოს ადამიანურობა. მაყურებლის თვალშინ ფრიად საინტერესო ამბავი მოხდა: ორმა მსახიობმა ადამიანის ერთობ შორეული მსგავსების მეშვეობით შექმნეს ხელოვნება და ამ შემოქმედებითი პროცესის ღროს წარმოიშვა რაღაც მესამე, რომელიც რეალურად არ ს ე ბ თ ბ დ ა მ ხ თ ლ ი დ ს ც ე ნ უ რ ი მ ა გ ი ი ს დ რ თ ს. ეს მესამე გახლავთ სწორედ თეატრის აზრი, მისი „სასწაული“, რაც ხელოვნების არც ერთ სახეობას არა ჰყავს. ესაა თეატრის პირობითობა, ყველაზე ფასეული, რაც მას აბადია.

როცა ჩვენ ამ „მოტყუების“ გრძნობას გვარგავთ (ტყუილად ხომ არ გვივარდებოდა თვალში საკიდარი, არ დაიგწყოთ, რომ თქვენს თვალშინ მხოლოდ დედოფალაა!), როცა გვინდა სცენაზე გადავიტანოთ ჩვენი გარემო ცხოვრება, რაღაცას ვპარავთ საკუთარ თავს, ხელოვნებას. თეატრის დანიშნულება, მისი საიდუმლოება ამ პირობითობაში მდგომარეობს; თეატრი — ცხოვრების თამაში და არა თვით ცხოვრება, გადატანილი ფიცარნა და არა ფიცარნა გზე. თეატრმა მაყურებელს უნდა შესთავაზოს ცხოვრების თავისებური მოდელი, როგორც ეს თეატრს ესმის, და არა მისი უბრალო ასლი — თუ არა და, ხელოვნება არ იქნება. დრამატულ თეატრში ხომ დაახლოებით იგივე ზდება, რაც დედოფალასა და მის მეურვეებს შორის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დრამატულ მსახიობს დედოფალას ძაფიერ „ხელო“ საკუთარი თავი უჭირავს. უფრო კეთილშოვანი სახელშიავდება გამოვნახოთ — ადამიანთ მძღოლი და მხატვრული ხახე რე. როცა მხატვრული სახე ქრება და სცენაზე მსახიობი ჩჩება, თავისავად ქრება ხელოვნება, რამდენადც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ზსახობით თავისთვად არავის აინტერესებს. სპექტაკლი ეს უბრალოდ გაცო

ცხოვრებული ცხოვრება კი არ არის, ეს რაღაც ახალი, რეალურად არსებული ფენომენია. თუ გნებავთ, ეს ფილოსოფიურად გააგრძელო ცხოვრება, აღამიანური ყოფის მოდელი. წარმოვიდგინოთ აღამიანთა მოდგმის ბავშვობა. პირველყოფილი აღამიანი ნადირობის ღმერთების გულის მოსაგებად აწყობდა რიტუალურ ცეკვა-პანტომიას. ერთი ჩვენი ძეველისძველი წინაპარი (შამანი) თავზე წამოიცავდა ბიზონის ნიღბას და მოძრაობით გამოხატვდა მხეცის საქციელს ნადირობის ღროს, ხოლო ამ უძველესი თეატრალური წარმოდგენის სხვა მონაწილენი ბაძავდნენ მონადირეთა მოძრაობებს. პანტომია წარმოადგენდა სხვადასხვა სიტუაციებს მონადირეთა ცხოვრებიდან. ნადირის გამომსახველი შამანი ნამდვილ ბიზონს ფრიად პირობითად ჰგავდა და ნადირობის სცენაც ფრიად პირობითად თამაშდებოდა, მაგრამ პირველყოფილ „მაყურებელს“ უნდოდა დაეკვრებინა და სჯეროდა კიდეც, რომ მოვლენა ნამდვილი იყო. გამოხატულება ხან მეტად, ხან ნაკლებად ჰგავდა ორიგინალს (ბიზონისა და მონადირების უკრაინებას) და ამზე იყო დამოკიდებული ის, რომ სხვადასხვა ღროს თეატრალური პირობითობის ხარისხი სხვადასხვა იყო. პირობითობის ხარისხი თეატრი — ესაა, აღბათ, თეატრალური თამაშის სახეობა, ცხოვრებისთან მისი მიახლოებისა თუ დაცილების ხარისხი, მსგავს გვერდის ხარისხი და აცილების ხარისხი, მსგავს გვერდის ხარისხი.

მაგალითისათვის მოვიყვან რუსთაველის თეატრში ჩემ მიერ დადგმულ სამ სპექტაკლს: პ. კოჭიუტის „როცა ასეთი სიყვარულია“, გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქას“ და უ. ანუს „ანტიგონეს“. პირობითობის ხარისხი მათში სრულიად სხვადასხვა.

მოვლენები, რომლებიც ამ პიესაში ხდება, შეიძლება მომხდარიყო სინამდვილეში (გარდა „ჭინჭრაქას“ აშეარად ზღაპრული ელგუმნტებისა). მაგრამ სცენაზე მათ შეიძინეს განსაკუთრებული „გამრუდება“ ცხოვრებისეული სიმართლის მიმართ. ისინი არსებობენ თეატრალური პირობითობის განსაკუთრებულ საფეხურზე, თუმცა ცხოვრებისეულ კანონებს ემორჩილებიან.


ამ სპექტაკლებში თითქმის ერთი და იგივე მსახიობები თამაშობდნენ, მაგრამ რა განსხვავებულია ის თეატრალური ხერხი, რომლის მეშვეობითაც მსახიობები აგებდნენ თავისი გმირების სცენურ საქციელს, ძერწავლენ მათ ხასიათს!

საქმარისია გავიხსენოთ ს. ზაქარიაძისა და რ. ჩხივაძის ორი სცენური სახე და მაშინვე აღმოვაჩენთ პირობითობის ორ სხვადასხვა საფეხურს.

ანდა წუთით წარმოვიდგინოთ, რომ „ანტიგონეს“ სცენურ სიცოცხლეში მოულოდნელად აღმოჩნდეს „ჭინჭრაქას“ ქოსა, როგორი იქნებოდა ზაქარია-

ძისეული კრეონისა და ჩხიჯვაძისეული ქოსას შეხვედრა? უბრალოდ, ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ. იქნებ ძალან სასაცილო ყოფილიყო, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდოდა. როგორც სეზანის ვაშლი არ ჩაიხატება ვან-დეიკის სურათში გამოსახული ვაშლის ნაცვლად, ასევე არ შეიძლება შევუთავსოთ შეუთავსებელი სხვადასხვა სპექტაკლებიდან. სხვადასხვა თეატრში პირობითობის შეუთავსებლობის კანონი ისევე მკაცრია, როგორც ბიოლოგიური შეუთავსებლობის კანონი. ორივე პერსონაჟი ზოგადი ცხოვრებისეული კანონების მიხედვითაა შექმნილი, მაგრამ ორივე განსხვავებული მხატვრული პირობითობის სამყაროში ცხოვრობს.

კარგად მახსოვს როგორ მოინდომეს რუსთაველის თეატრში „ფორმალიზმთან ბრძოლის“ პერიოდში ირ. გამრეკელისეული ბოჭემის ტყის პირობითი ყვითელი ფონის („ინ ტირანოს!“) შეცვლა „ნამდვილი“ ტყით. ასეთ ტყეს მაშინ „რეალისტურს“ ეძახდნენ. დეკორაცია დაიღუპა. არ შეიძლება შეუთავსებელთა შეთავსება.



სურ. 42 ა



სურ. 24 ბ

თეატრალურ ხელოვნებაში პირობითობის სხვადასხვა ხარისხი, უპირველეს ყოვლისა, დამკიცდებულია ნაწარმოების ავტორის პირობითობის ხარისხი.

„კინოოპერატორებმა იციან, რომ სხვადასხვა თბიექტების გადაღებას სხვადასხვა ობიექტივი სჭირდება. სარკეთა, თბიექტივთა, ფილტრთა და ლინზათა ეს თავშეურა აქვს ავტორსაც სხვადასხვა პიესისათვის, სხვადასხვა პრობლემისათვის. ისინი ასახვის სხვადასხვა საშუალებას მიმართავენ. ერთნი ცხოვრებას უთვალთვალებენ მხოლოდ გვერდითა ხელმძღვანით... მეორენი მხოლოდ ბლაგგუჟთხიანი ობიექტივით, მესამენი იყენებენ სტერეოსკოპულ აპარატურას. ერთნი ცხოვრებას კონკრეტული სურათით გამოხატავენ, მეორენი — ძალიან რბილად, ცოტას იცილებენ ფოკუსს, მესამეს გამოსახულება ფერადი აქვს, მეოთხეს შავ-თეთრი... რეჟისორიც, სხვა ადამიანთა დარად, თავისი საკუთრივი კუთხით ხედავს ცხოვრებას. მაგრამ ავტორის მიერ ასახულ და გარდაქ-

მნილ ცხოვრებასთან შეხვედრის „შემდეგ იგი მოვალეა. კიდევ ერთხელ შეხვედოს ცხოვრებას, მაგრამ ახლა უკვე ავტორის თვალთახედვით“ (გ. ტოვსტონოვი. „ლია წერილი ნ. ოხლოპეტოვს“).

გავიხსენთ ის დიალოგი მსახიობ გოგი გეგეჭიორთან, რომელიც ამ თავის დასაწყისში მოვიტანე. დაახ, ყოველი ნაწარმოებისათვის, ყოველი სპექტაკლისათვის, ყოველი როლისათვის საჭიროა „პირობითობის“ საგანგებო გასაღები, ურომლისონდაც თეატრალური ხელოვნება უზრობა. უნდა მოვარგოთ „გასაღები“, ყველა პიესისათვის გამოსაღები „გასაღები“ ხელს არ მოვცემს. ეს „გასაღები“, უნდა იყოს ერთადერთი, იგი ავტორთან უნდა ამოვიკით ხოთ. ეს, აღმართ, არც ისე იოლად გასაკეთებელია. როგორც ამწყობი აწყობს როიალის თითოეულ სიმს, ასევე რეჟისორი ვალდებულია ერთიანი გასაღებით აწყოს მომავალი სპექტაკლის ყველა კომპონენტი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამწყობს ყველა ინსტრუმენტისათვის ერთი გასაღები აქვს, რეჟისორი კი მოვალეა ყოველი სპექტაკლისათვის საგანგებო „გასაღები“ იპოვოს.

მაგალითი:

1. რეჟისორი ე. ვახტანგოვი კ. გოცის „პრინცესა ტურანდოტის“ მისეულ დადგმაში აწყობს ძველებური თეატრის თამაშობას თანამედროვე თეატრში.

2. დიდი სტანისლავსკი თავის იეატრში აწყობს ცხოვრების თამაშს. რაც უფრო ჰგავს ცხოვრებს, მით უკეთესი! (მ. გორჩის „ფსკერზე“).

3. სანდრო ახმეტელი აწყობს რომანტიკულ, სხვათაგან განსხვავებულ, ეროვნულ თეატრალურ თამაშს (შ. დადიანის „თეონულდი“).

4. მეიერპოლდი ეკამათება ყველას, ვანც თეატრალურ თამაშს „ცხოვრებას“ უწოდებს. თუკი სხვები მაღავენ, რომ თამაშობენ, მეიერპოლდი აჩვენებს თვით თამაშის პროცესს (ასტროვსკის „ტყე“).

5. ბერტოლდ ბრეხტი სერიოზულად აწყობს პოლიტიკურ აგიტაციას თეატრალური თამაშის სახით და ა. შ. და ა. შ.

ეს პირობითობის განსხვავებული სახეებია და ცხოვრებასთან მათი მსგავსებაც განსხვავებულია.

### გარდასახსრები

ზამთარს გაზაფხული ცვლის და ბალიც ჩემი სახლის წინ სახეს იცვლის. იგი ახალი, ნორჩი ფოთლებით იმოსება. ჰყვავის ალუბალი და ნუში, საიდან-დაც გამოცოცლენ ხოჭოები, ხეთა შტოებზე უცნობმა ჩიტუნებმა იჩინეს თავი. მოვიდა გაზაფხული და ყველაფერმა ფერი იცვალა.

არასოდეს „ჩავარდება“, მაგრამ არც გაიმარჯვებს, გარდა იმ გამონაკლისისა, როცა ყველა კომპონენტის გადაწყვეტა თავისთავად ერწყმის ერთმანეთს. ჩვენს საქმეში ასეთი შემთხვევებიც არის ხოლმე.

სცენური გადაწყვეტის ძიების პროცესში თანამედროვე რეჟისურა სულ უფრო ხშირად მიმართავს გამომხატველობის არაპირდაპირ ხერხს — გასხვისებას (რაკუტის), მეტაფორას, ქვეტექსტის და ცხოვრების. მოდელირების გზით. ეს კი უფრო მწვავედ აყენებს დადგმითი გადაწყვეტის ძიების საკითხს.

ინგმარ ბერგმანი ამბობს: „ხელოვნებას წინ მუდამ დიდი ხელოვანი მიუძღვება. ვინც დღენიადაგ აშალაშინებს ნაცად, ძველ ხერხებს, უარყოფს მათ, ვინც შინა მოთხოვნილების გამო, საკუთარ კოლოსალურ პროფესიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, წინ მიიწევს და ავლენს ახალ ინიციატივას.“

### შემოქმედებითი პროცესი

იფიქრე აზრზე, სიტყვები კი თავისით მოვლენ.

ლუის კერლი

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში რეჟისორისათვის მომავალი სპექტაკლის შეზღვის პროცესი თვისებურად მიედნება. ეს დამოკიდებულია რეჟისორის ნიჭიზე, ტემპერამენტზე, ცოდნასა და განათლებაზე, პიესაზე, თემაზე, დამოკიდებულია იმაზე, კისთან ერთად და სად იღებება სპექტაკლი.

ყოველი სასიცოცხლო მოვლენის მსგავსად, შემოქმედებითი პროცესიც, აღნან, რომელიმაც ერთან ლოგიურ სქემას ექვემდებარება. ყოველ შემთხვევაში, მე მგნონა, დაახლოებით შეიძლება იმ ეტაპთა განსაზღვრა, რომლებიც უნდა გაიაროს ყველმა რეჟისორმა მომავალი სპექტაკლის სცენური გადაწყვეტის ფორმირების კვალდაკვალ.

მუშაობის დროს, ჩეულებრივ, რეჟისორი ამ ეტაპებს ვერ ამჩნევს. ძალიან ხშირად ეტაპები ერთმანეთს ერწყმიან, ზოგიერთ ცალკეულ შემთხვევაში თითქოს სრულებით ირც შეიმჩნევიან, სხვადასხვა უბნებზე განსხვავებული სიჩქარით მიედინებიან, მაგრამ უთუოდ არსებობენ, ერთმანეთისაგან ლოგიკურად გამომდინარეობენ და ფსიქოლოგიურად განაპირობებენ ერთიმეორეს.

ცხოვრებისეული გამოცდილება და დაკვირვება, განცდა და ცოდნა, საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში მონაწილეობა მუდმივად აწვდის რეჟი-12. ა. თუმანიშვილი

სორს ახალ შთაბეჭდილებებსა და აზრებს. მისი შემოქმედებითი „საკუჭნაოები“ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად იგსება. დაგროვილიდან ბევრი რამ უმაღვე გამოიყენება, სხვა დავიწყებას მიეცემა ან „თვლემს“ ქვეცნობიერში, სანამ ერთხელაც საჭირო არ გახდება და შემოქმედებითი გამოყენებისათვის არ იქნება გაღვიძებული.

სცენურ გადაწყვეტას ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად პიესის პირველი წევითხესითანავე გადაეყრები. გადაწყვეტა თითქოს თავისთავად აღმოცენდება, გუმანით, ქვეცნობიერად. რეჟისორის ქვეცნობიერება თითქოს შემთხვევით „წააწყდება“ აღამიანურ მეხსიერებაში შემონხულს, ოდესლაც მიკვლეულსა და ღრმად ჩამარხულ სახეებს. ისინი თვით რეჟისორის ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნებიან სწორედ იმ მომენტში, როცა ეს საჭიროა.

მაგრამ ქვეცნ თბილი ამომწურავი წყაროროდა, საიდანაც საჭირო მომენტში მოედინება მზა წესები და ფორმები. ეს მხოლოდ ზოგჯერ ხდება, ძალიან იშვიათად, როცა ზედი გაგვიღიმებს. ჩვენ კი უფრო გვაინტერესებს ძალის ხანგრძლივი, ხშირად ძალზე მტკიცნეული პროცესი, რომელიც ჩვენი შემოქმედების უფრო ხშირი სტუმროა.

ხომ არ შეიძლება ისწავლო აუცილებლობის შემთხვევაში ამ მარაგის გამომზეურება? მაშინ ჩვენ შევძლებდით ამ შემოქმედებითი საკუჭნაოს გამოყენებას ახალი მიგნებისათვის. რა საშუალებით ავამოძრაოთ მექანიზმი, რომელიც ამ საგანტურთაგან სწორედ იმას ამოიღებს, რაც ახლაა აუცილებელი.

ინტუიციურ საწყისთან ერთად, რეჟისორის შემოქმედებითი აზრი დამოკიდებულია სპექტაკლის ჩანაფიქრზე (სარეჟისორო გეგმის პირველი ნაწილი), როცა იგი მისდევს კარგ ტრადიციებს, ასრულებს დადგენილ წესებს, იყენებს საუკუნეობით გამომუშავებულ ხერხებს. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკი არ ეხება სხვათა სპექტაკლების გადაღებას, და უკვე გაცემით სათეატრო შტამპებს, არამედ წარსულისა და აწმოს საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევართა წესად და მეთოდად გამოყენებას, მათი გამოცდილების გაზიარებას.

მომავალი სპექტაკლის გადაწყვეტის ძიების პროცესი პირობითად შეიძლება ეჭვს ეტაპად დავყოთ:

1. მომზადება
2. ძიება, დაზვერვა
3. იდეის მომწიფება, საინკუბაციო პერიოდი
4. ევრიკა!
5. გადაწყვეტის სისწორის შემოწმება
6. დამუშავება

## პირველი ეტაპი — მომზადება

ახლანდელი მსახიობები უფრო ხშირად გულხელდარეფილნი სხედან და აპოლონის შთაგონებას მოელიან. ტყუილი იმედია! იმას საკუთარი საქმეები ყოფნის.

## ფედოტოვა

რეჟისორი, შეიძლება თქვას, თეატრალური იდეების გენერატორია, შემოქმედებითი პროცესის კატალიზატორი, ძიების შთამაგონებელი. მაგრამ რა საშინელებაა, როდესაც ამ „შთამაგონებელს“ პიესის თაობაზე ახალი იდეები არ ებაღება და სირცეკილის დასაფარავად იძულებულია ძველმანი ახლად გაასაღოს. ეს მდგომარეობა უნაყოფობას ჰგავს, არასრულფასოვანების შეგრძნებას, ურაზისო უდაბნოს, უკიდეგანო სიცარიელეს, იმ მატარებლის უიმედო ცდას, რომელიც არასოდეს მოვა.

რაიმეს რომ მიაგნო, ძალიან ზუსტად უნდა იცოდე რას ეძებ. რეჟისორის გონებაში ჯერ კიდევ ჩანაფიქრის მომწიფებისას აღმოცენებული ნერგი სახეობრივი სიცოცხლისა ყოველთვის თან ახლავს შემოქმედებითს პროცესს. მაგრამ ყოველი წინარე მასალა სახეზე მუშაობის ღრის (სარეჟისორო გეგმის მეორე ნაწილი) განიცდის სხვადასხვა ზემოქმედებას, იცვლება, ხდება მისი ტრანსფორმაცია. კონკრეტული ყოფის სამყაროში ჩაღრმავებული რეჟისორი, როცა ის ამ ყოფის ცალკეულ მხარეებს შეისწავლის, ნებსით თუ უნებლივით, კარგავს მთლიანობის შეგრძნებას. ამიტომაც, გადაწყვეტის ძიების პირველ ეტაპზე განსაკუთრებულ მიზნების იძენს სპექტაკლის ჩანაფიქრი ის დაზღვის ტერიტორიაზე, იმის დაზუსტება, რისთვის იდგმება სპექტაკლი (დედაზრი). იმისათვის, რომ ჩანაფიქრი მიზნი იყო ნიჭით სტარტიზაციაზე, რეჟისორი, თითქოსდა, იმთავითვე უნდა აღიაჭიო რეალური გამოცდილების გაზიარებას.

მაგრამ ადამიანმა რომ რაიმე განახორციელოს, უპირველეს ყოვლისა, სათანადო უნდა განვიწოს, მთელი გულისყვრი გარკვეულ ამოცანას მიაძყროს. უმისოდ წარმოუდგენელია ნამდვილი შემოქმედება. გადაწყვეტი თავისთავად არ მოდის. მასთან მიბარვით მისვლაა საჭირო, თავისებური პროცესირება სასიცოცხლოდ გამოწყვევისათვის, მიგნება. შემოქმედებითს აქტში, რომელიც უნდა აღსრულდეს, აღმათ, მთავარ როლს თამაშობენ აღამიანის ისეთი თვისებები, როგორიცაა: ემოციური მეხსიერება, წარმოსახვა და საჭიროს შერჩევისა და უმაჭვისის უკუგდების ნიჭი. ამ თვისებებს საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში უნდა მოყვანა. საჭიროა მათი გამწვავება და აგ-

ზნება. რკინა მხოლოდ გავარეარებული გამოიწრობა. ეს ტრფიალის გრძნობას ჰყავს, როცა რეჟისორი დღე და ღამე მხოლოდ საძიებელ საკითხზე ფიქრობს და ოცნებობს, მოუთმენლად სურს იხილოს იგი, მიაგნოს მას.

შემოქმედება ვერ იტანს გულგრილებს, გაურბის მათ. მუდამ შურითა და აღტაცებით ვადევნებ თვალს სპორტსმენებს სარეკორდო ვარგშიშის აღსრულების წინ, ძალთა მოკრების მათს უნარს. უკიდურესად დაძაბულნი პირისპირ წირდგომიან შტანგას, თამასას, მოწინააღმდეგეს, საკეთილო გაუცხოებით ჩამოცილებულნი არიან ყოველგარ გარეგანს, ყველაფერს, რაც უშლის ხელს, რომ ყველაზე მაღლა ახტეს, ყველაზე სწრაფად გაიქცეს, ასწიოს არააღმიანური სიმძიმე. სიშმაგის, შთაგონების გარეშე შეუძლებელია შემოქმედება. მაგრამ შთაგონება თავისთვად ძალიან იშვიათად გვეწვევა ხოლმე, ამიტომაც უნდა ვისწავლოთ მისი გამოწვევა.

მიქელანჯელოს ეს ჭირვეული არსება სულ სადაცით ეჭირა. ერთი ნაბიჯითაც არ უშვებდა განზე. და როცა შთაგონება მაინც ცდილობდა ხელიდან გასხლტომას, გახელებით მოითრევდა თავისთან. მას ლოდინის დრო არ ჰქონდა, ძალიან ბევრი რომ უნდა გაეკეთებინა. მიქელანჯელოს ძალთა ხმევა ფენომენალური იყო. ეს გახლავთ შემოქმედების პირველი და აუცილებელი პირობა.

როგორ უნდა გაეკეთდეს ეს, როგორ უნდა შეიქმნა განწყობა ილება, როცა საამისო გუნებაზე არა ხარ? უნდა იმუშაო მაშინაც კი, როცა არ გინდა, თავს ძალა უნდა დაატანო. იმუშაო თავდადებითა და თავგადაკვდომით, აღნითო სურვილით მიგნებისა და ყველგან, სადაც კი შეიძლება, ეძიო. როცა თავს აიძულებ იმუშაო, როცა გატაცებით მიეცემი სამუშაოს, როდესაც იგი აუცილებელი გახდება, მაშინ გაგიჩნდება განწყობა — ა, რ. ნათაძის მიხედვით, ადამიანის აქტივობას განსაზღვრავს რაღაც ის მიღწევის მოთხოვნა განწყობას.

ბერძმა გამიღმა და გამხადა მოწმედ იმისა, თუ როგორ იქმნიდა განწყობას, როგორ ემზადებოდა კონცერტისათვის სვიატოსლა რიჩტერი. ჭრ ერთი, მან მოიხოვა აბსოლუტური სიჩუმე მთელ თეატრში და მიაღწია კიდეც ამას. დიდხანს დადიოდა ოთხში, მერე დაჯდა, ხელები სახეზე მიიფარა და კარგაზანს იჯდა ასე, რაღაც თ ძალიან აქტიურ ად იყო დაკავებული. მერე დაჯდა, ანთო სანთელი, ჩააქრო ელექტროშუქი, ისევ დაჯდა და სანთელს მიაპყრო თვალი, მერე ისევ მიიფარა სახეზე ხელები. მზადება კარგაზანს მიმდინარეობდა. ხანდახან ოთხიდან გამოდიოდა, სცენაზე გაღიოდა, უახლოვდებოდა როიალს, მაგრამ ხელს არ ახლებდა. შემდეგ ისევ ბრუნდებო-

და დასვენების ოთახში. მაგრამ ეს დასვენება არ იყო. ეს გახლდათ ძალიან აქტიური გუნების შექმნა იმ საქმისათვის, რომელიც ახლა უნდა აესრულებინა.

ამრიგად, მუშაობის პირველ ეტაპზე მთავარია საძიებელი ამოცანის. დაზუსტება და შემოქმედებითი განწყობილება ანუ განწყობა.

### შეორე ეტაპი — დაზვერვა (ძიება)

შეიგრძოლდის ხეაულ-გრეხილები, რომელთაც ახლა ბევრი გულუბრყვილო ცდილობს მიმბაობს, ერწყმოდა ძიების, გამომგონებლობის და, როორც ვახტანგოვი იტყოდა, რევისორის ჩანაფიქრის. მსუბუქად და ბუნებრივი გამომხატველი განუმეორებელი ფორმას შექმნის იშვიათ ნიჭის.

ი. ზაფალხა

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გავაღვიძოთ წარმოსახვა, ბიძგი მივცეთ ბორბალს, საჭირო გზით აგამოძრაოთ იგი. ესაა სარეკისორო დაზვერვა ყველა მიმართულებით. დაკვირვება, ცნებებითა და სახეებით, ფაქტებით მანიპულირება, მათი არსის შესწავლა, შედარება და ჩაწვდომა, გამომგონებლობა, მეტაფორათა თხზვა — აი, რეკისორის მოღვაწეობის ძირითადი სფერო ამ ეტაპზე.

ბევრი რეკისორი იმ აზრისაა, რომ ფორმის პირველად მოფიქრებული ვარიანტი ყოველთვის სხვათა უმჯობესია. რაც უფრო შორს წავა ძიება, მეტი ხელოვნურობა და ნაკლები ხელოვნება იქნება, ზოლო ზედმეტი ანალიზი და გარევეულობა მხოლოდ ვნებს ჩანაფიქრს. ეს არაა მართალი. პირველი ვარიანტი ყოველთვის უნდა იყოს იჭვის საბაბი. იგი (მცირე გამონაკლისის გარდა) ხომ ყოველთვის ბანალური და ზედაპირულია. იჭვით უნდა მოვეკიდოთ, უნდა შევამოწმოთ, მრავალგზის უარვყოთ, კიბოვთ სხვა იდეა, ბევრი სხვა და, ბოლოს დავუბრუნდეთ პირველ გადაწყვეტას, თუკი იგი დააკმაყოფილებს საღმოსაზრებასა და შემოქმედების მაღალ მოთხოვნილებებს. მხოლოდ მაშინ შეუძლია რეკისორს გადაწყვეტის იდეა შემოწმებულად და მისანდოდ ჩათვალოს, მხოლოდ მაშინ გამოირკვევა, რომ ეს უბრალო ორიგინალური აზრი კი

არაა, არამედ „აღმოჩენაა“, რომელსაც ძალუბს დააინტერესოს ადამიანები. თდეას უნდა დავუჭეროთ, დაჯერება კი ნიშნავს იგი ჩამოყალიბებულ სცენურ ფორმაში დაინახოთ.

მეორე მხრივ, არაა საჭირო მოფიქრებულ ვარიანტთა ერთბაშად გადაგდება და უარყოფა. ბოლოს და ბოლოს, ფორმის იდეები ერთობ ლირუბულნი არაან საიმისოდ, რომ მათ ისევ გაქრობის საშუალება მივცეთ ან თუნდაც ჩვენი „ქვეცნობიერის საკუჭნაოში“ მიმაღვის უფლება. არც ისე აღვილად ამოცაცებიან ხოლმე იმ საკუჭნაოებიდან. ჯობს გადაწყვეტის იდეა ხანგრძლივად შევისის წავლოთ, გავისინ ჯოთ, შევამომომო ით, და თუ კი ეს ლირებული იდეაა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში არ გამოდგება, ერთბაშად ნუ ავილებთ ხელს. იგი ორგორდაც ფიქსირებული და დახსრმებული უნდა იქნეს. სხვა დროს და სხვა სპექტაკლში შეიძლება გამოგვადგეს.

სპექტაკლის გადაწყვეტის მიღება მრავალ ვარიანტთა შედარება და ადაუცნებული. მიმომაც, მუშაობის დასაწყისში საჭიროა მათი, რაც შეიძლება, მეტი რაოდენობით დაგროვება, დაე, ეს ვარიანტები მთლად მწყობრი არ იყოს, ხშირად აბსურდული და გულუბრყვილოც კი (ეგ არაფერი), მთავარია, რომ ისინი ერთმანეთს არ ჰვალნენ.

როგორ ვეძებოთ ვარიანტები, როგორ მოვუყაროთ თავი? მოვიტან რამდენიმე რჩევას, რაც კი შეიძლება გამოიყენოთ სპექტაკლზე პრაქტიკულად შუშაობისას. შესაძლოა ზოგიერთი მათგანი სასარგებლოც კი აღმოჩნდეს.

1. აკვიატებული იდეისა გან თავდახსნა. რეჟისორი კითხულობს პიესას და უმაღვე მის გონებაში თავს იჩენენ წარმოდგენანი ცნობილ თეატრალურ დადგმათაგან. ის, რაც წარსულში აღმოჩენა იყო, დღეს პანალური და ხასმოდებული ხერხია, არავითარი ინფორმაციის მოტანა აღრიცხულია, სპექტაკლის ახალ იდეათა წარმოშობას აფერებს. რეჟისორის წარმოსახვისათვის ძალიან ძნელია ასეთი „სახელდახელო“ ჩვეულებრივი სქემის დაძლევა და ნაცნობ, ზედაპირზევე მდებარე გაცვეთილ გადაწყვეტილებათა ჯუნგლების გადასერვა. აკვიატებული იდეა და ილეთი ათასობითაა და ისინი ახლოს არიან ჩასაფრებულინი. მათ მოაზრებას დიდი ფიქრი და წყვეტა არა სჭირდება. აბეზარ მეზობლებსა ჰგვანან, მუდამ რომ მზად არიან თავისი სამსახური შემოგვთავაზონ, თუნდაც ამას არავინ სთხოვდეს.

მოწონა რეჟისორს ა. ეფროსის სპექტაკლი და უმაღვე ფიქსირებული თნერცის ტყვე გახდა, თუ შეიძლება ასე ითქვას. ყველა მისი სპექტაკლი უკვე გარეგნულად ეფროსის სპექტაკლს ჰგვას. ნახა ჩვენში საგასტროლოდ ჩამოსული თეატრის სპექტაკლი და ყველა მისი თეატრალური ოპუსი გარე გრძულად ამ სპექტაკლს მოგვარნებს. შემოიყვანა მსახიობები რომელიმაც

რეჟისორმა მაყურებელთა დარბაზიდან (ვგონებ ეს პირველად მეიერპოლდმა გააკეთა?) და ნაწვიმარზე ამოსულ სკორებივით ათას სპექტაკლში იჩინა თავი ამ წესმა. გადაწყვიტა პიტერ ბრუკმა ერთ თავის სპექტაკლში („მეფე ლიტერატურის გმირებისათვის ტყავის ტანსაცმელი ჩაეცვა და მოპყვნენ მას მსოფლიოს სცენებზე ყველა დროისა და ხალხის ტყავის ტანსაცმელში გამოწყობილი გმირები). ის, ესა ფსიქოლოგიური ინერცია.

ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ შეიძლება გამოვიყენოთ დიად წინაპართაგან მიგნებული თეატრალური ხერხი. პირიქით, მიგნებათა და ხერხთა ეს არსენალები ძალიან კარგად უნდა ვიცოდეთ, ღრმად შევისწავლოთ, უკიდურეს შემთხვევაში, გამოვიყენოთ კიდეც. მაგრამ ეს არ უნდა გაკეთდეს მექანიკურად, „მოღის მიხედვით“, ერთი გარკვეული სეზონისათვის, ერთი ხელის დაკვრით. ერთი სეზონის ყველა სპექტაკლი „ცარკვის“ ყალიბზე გამოიჭრება ხოლმე, მეორე — „კარნავალისა“, მესამე — ეფროსისებურად. იყო დრო, როცა ყველა სპექტაკლი ახმეტელისებურად იდგმებოდა. და ასე მრავლდებიან სპექტაკლები ახმეტელისებური, ბრესტისებური, ღუბძიმოვისებური და დაბორიალობენ ეს „მოჩვენებანი“ სამუშაო, აბსტრაქტული სვიტრებით, გვალოს კოსტიუმებით, თეატრი ნიღბებით... უფარდო სპექტაკლები, ბახის ფუგები ვოკალური შესრულებით, სპექტაკლები „ფიროსმანისებურნი“ და ა. შ. და ა. შ. საკმარისია რეჟისორმა ხელთ იღლოს ახალი პიესა, რომ მის წინ უმაღვე გამოდიან იმ ვეეყის მკვიდრი, გაცვეთილი, ხავსმოკიდებული ხერხები და გადაწყვეტანი. და რომ მოგახდინოთ ისტენის ფრუ ალვინგის პერიფრაზირება შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი თეატრი სავსეა ასეთი „მოჩვენებებით“, ისინი ისევე აურაცხელნი არიან, როგორც ზღვაში ქვიშა.

მიღრეკილება აზროვნების რომელიმე ნაცნობი ხერხისადმი, როცა გადასაწყვეტია კონკრეტული სადაფერ ამოცანები, აფერებს ახალი იდეების წარმოშობას ანდა საერთოდ სპობს მათი წარმოშობისათვის ხელსაყრელ პირობებს.

თავიდან რომ ავიცდინოთ ეს სენი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა დაეკესნათ მიგნებულის და მრავალზის გამოყენებულის ინერციას. მაინც არ არის ფსიქოლოგიური ინერცია ინერცია? სხვისი აზრის, სხვისი თხზულების, სხვისი მხატვრული სახის სტერეოტიპის გამოყენება. როგორ ვებრძოლოთ ამ მოვლენას?

ა) მუდამ გვახსოვდეს ამ სენის არსებობა და, რაც შეიძლება ყველაფერი გავაკეთოთ, რათა უმაღვე ჩამოვიშოროთ ნაცნობი გადაწყვეტა, თავს ნუ მოვიტყუებთ, ასეთი რომ ჯერ არავის ჯაუკეთებიაო. ჩვენს პიროვნებაში აღვზარდოთ ზიზლის გრძნობა სხვისი მონაპოვარის მითვისებისადმი.

ბ) ჩვენს თავს დაუსვათ კითხები, რომელთაც შემოქმედებითი აზროვნებისა და წარმოსახვის სტიმულირება შეუძლიათ: რა იქნება, რომ სწორედ საჭინააღმდეგოდ მოვიქცეთ იმისა, რაც თავდაპირველად მოგვეჩვენა. ასეთი პოზიცია იწვევს ახალ იდეათა ნიაღვარს.

გ) დავსვათ თუნდაც ასეთი შეკითხა: რომელ თეატრს ეკუთვნის მოცულები პირის? ხომ ცნობილია, რომ არსებობს თეატრის ორი სახე, ორი მიმართულება. ერთია თეატრი, რომელიც მიისწრაფვის შექმნას ილუზია, რომ სცენაზე ცხოვრებაა და არ არის არაფითარი თეატრი, და მეორე, თეატრი, რომელიც მიისწრაფვის შექმნას თეატრალური თამაში და მას დააკისროს საზოგადოების ცხოვრების არსას მოდელირება. პირველი მაყურებელს სცენაზე მომხდარის თანამონაწილედ და თანამგრძნობლად იწვევს, მეორე კი სულ ცდილობს მაყურებელი ამ პიპრიშიდან გაანთვისუფლოს და შესთავაზოს იმ თეატრალური თამაშის თანამონაწილეობა, რომლის მეორებით თეატრი აბამს უსიტყვით დაალოგეს სცენასა და მაყურებელს შორის. ეს ორი სხვადასხვა ხერხია, თეატრის დანიშნულების ორი სხვადასხვა გაგება. პირველი სახე ნატურალიზმის (ზოლი, ანტუანი, კრონეკი) შედეგად წარმოიშვა და თავის განვითარების უძალეს წერტილს სამარტვრო თეატრის შემოქმედებაში შიაღწია, მეორე წარმოიშვა ჯერ კიდევ ჯერ სანაში, თავისებურად გამოვლინდა ყოველისტორიულ ეპოქაში და დღემდე ვითარდება. გასარევერია, რომელი თეატრალური ხერხის მიხედვით უნდა ვეძიოთ გადაწყვეტა. მერე ვცადოთ ამ გადაწყვეტის თავდაყირა დაყენება.

დ) უკუვაგდოთ ეს-ესა მიგნებული ახალი ხერხი თუ წესი, შარმოკიდებით ვეკამათოთ ახლახანს წარმოშობილ იდეას. გავიჩენოთ, სად იყო იგი უკვე გამოყენებული. გატაცებით ვეპარეტოთ საკუთარ თავს. ეს კამათი ხმამაღლიც შეიძლება იყოს. საკუთარ თავეთან ასეთი კამათი, ჩვეულებრივ, იწვევს დასკვნათა და მოულოდნელ აზრთა მთელ ჯაჭვს. იგი ხელს უწყობს ძიების გაგრძელებას.

ე) ძალზე სასარგებლოა მოცანის აბსტრაქტობა. როგორც უკვე ითქვა, ეს ნიშნავს პიესის მოვლენები ავტორისაგან აღწერილი კონკრეტული გარემოდან წარმოსახვით გადავიტანოთ სრულიად მოულოდნელ, საჭინააღმდეგო გარემოში. მაგალითად, უფლისწულ ჰიმლეტის ისტორია გაღმოვიტანოთ რეჟისორისათვის ერთობ ნაცნობ ნიადაგზე, მის ქალაქში, მის ეზოში ან, პირიქით, სრულიად უცნობ ქვეყანაში, ანდა სადღაც მთვარისა თუ მარსის წარმოსახულ სამყაროში. შეიძლება მოვიფიქროთ გარიანტი თოვინების

თვატრისათვის, რათა გამოვეხსნათ ჩვეულებრივ წარმოდგენებს, რათა პირისაგან მიწისა აღვგაოთ ის, რაც ჩვენს წარმოსახვას ხელს უშლის შეთხზას ავტორისაგან აღწერილი სამყარო.

მხატვრულ ნაწარმოებში ხდება ცხოვრების სიმართლის ხელოვნების სიმართლედ ტრანსფორმირება.

ნ. გვ. 2.

2. ნაბოდვა იდეების შეთხვა. ძალიან ხშირად ახალ საინტერესო გადაწყვეტათა წარმოშობას აბრკოლებს შიში, რას იტყვის კრიტიკა და საზოგადოება. თუკი რეჟისორი წინასწარვე შეიზღუდავს თავს ნაცნობი, იმ მომენტში საზოგადოებაში ფეხმოკიდებული იდეებით, მაშინ იგი არსებითად შემოქმედებითი პროცესის დასაწყისიდანვე იზღუდავს თავს და ამიტომ ვერასოდეს გაინაგორდებს წარმოშობის სივრცეში. ამის თავიდან ასაცილებლად უნდა გამოვიყენოთ ხერხი, რომელმაც პრაქტიკაში „ბოლვის წესის“ სახელი მიიღო. ესაა საშუალება „ნაბოლვარი“ იდეების შეთხვისა. უნდა ვირტუუნოთ, რომ ამ პერიოდს ახასიათებს სრული უპასუხესიმგებლობა და „თავის აგდება“. ამ დროს ასობით იდეის შეთხვა შეიძლება, რაც მეტია, მით უკეთესი, დაე, ერთიმეორებულ პრადოქსული იდეები წამოტივტივდნენ. მუშაობაში გამოყენებული უნდა იქნეს ყველაფერი, რაც კი შეიძლება მასალად გამოდგეს სპექტაკლის გადაწყვეტის სხვადასხვა ფორმისათვის. იდეათა თავმყრა საჭიროა გარემო ცხოვრების დაკვირვების გზით, ლირიკის კითხვით, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა რეპროდუქციათა დათვალიერებით, მუსიკის მოსმენით, ძველი უურნალების, წიგნების, აღბომების, თითქოსდა, უაზროვანი გადათვალიერებით. უნდა მივმართოთ ყველაფერს, რასაც ასეთ მომენტში შემოქმედებითი აქტის, გადაწყვეტის აღმოცენების ბიძგის მოცემა შეუძლია. უნდა ვეძებოთ წარმოსახვის გამაღიზიანებელი, იდეათა კატალიზატორი. როცა რეჟისორი რაიმეს ჩაავლებს ხელს, წარმოჩენილი იდეა გაიტაცებს, არავთარ შემთხვევაში არ უნდა შეაჩერდეს მას. უნდა მოვახდინოთ იდეის ფიქსაცია და ძიების გზა განვაგრძოთ. როგორც კი რეჟისორი რაიმე კონკრეტულს ჩაავლებს ხელს, წარმოსახვის გასვლის პროცესი შემოქმედების უკიდეგანო სივრცეში უმალვე შეწყდება და იგი ერთი გადაწყვეტის ტყვეობაში აღმოჩედება. ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ მოვიპოვოთ ფანტაზიის, შეთხვის სრული თავისუფლება, ხელგაშლილი უნდა ვიყოთ და არ გვეშინოდეს უარყოთ თუნდაც საინტერესო. დამიჯერეთ, ნამდვილი იდეა არასოდეს შეუმჩნევლად არ ჩაიქროლებს, იმას დაინახავთ, ფიზიკურად შეიგრძნობთ. შემ

თხვევით გზაში არ დაგექარგებათ. და, თუკი ასე მოხდება, მაშასადამე მისი ფასი მოჩვენებითი ყოფილა, სინამდვილეში არაფრის მაქნისი გამომდგარა.

ყველაზე უფრო ხშირად ნაბოლვარი იდეების ხერხი (ეს ერთობ შინაური, სამუშაო ტერმინია) კარგია გამოიყენოთ მხატვართან ერთობლივ მუშაობაში. უნდა ვისწავლოთ საკუთარი აზრისა და გადაწყვეტის ვარიანტების გამოთქმა. ამ ეტაპზე აკრძალულია იდეების, კარგი იქნება თუ ცუდი, ყოველგვარი კრიტიკა. იდეები შეიძლება გულუბრყვილო იქნას და გონიერად მოკლებული, შეიძლება არ ითვალისწინებდნენ კონკრეტულ სცენურ პირობებს თუ შესრულებლებს, შესაძლებლობებსა თუ ტრადიციებს. იქნებ მათზე არ ღირს შეჩერება, მაგრამ არასოდეს არ უნდა მივიჩნიოთ ისინი ზედმეტად და არ უნდა ვითიქროთ — ეს რა გულუბრყვილო აზრიბი მომსვლიან. ამ დროს აკრძალულია ყოველგვარი რეაქციები — როგორც უარყოფითი, ისე დადებითი.

ასეთ შემთხვევაში ძალზე სასარგებლოა ამ პროფესიასთან შორს მდგომი ადამიანების გამოწვევა სასაუბროდ და საკამათოდ გადაწყვეტათა ვარიანტების გამო. ამ ადამიანებს შეუძლიათ „სულელური“ კონტენტი დასვან დადგმის შესახებ (რატომ, რისთვის, განა პიტაში ასეა, განა ასე არ ხდება ხოლმე?). ასეთი გულმართალი, ხშირად თეატრიდან შორს მდგომი ადამიანები თავისი მოულოდნელი კითხვებით შესანიშნავ იდეებს გადაგვყრიან. ამიტომაც კარგი იქნება და სასარგებლო მრმავალი სპექტაკლის გადაწყვეტილებათა საკუთარი ვარიანტები ვუძღვოთ და მათი რეაქციით შევამოწმოთ ამ ვარიანტების ფასი. ჩვეულებრივ, ასეთი ადამიანები ვერ აღიქვამებ თეატრის პირობითობას. მაგრამ, როდესაც რეაისორი უამბობს მათ თავის ვარიანტს, თხრობის პროცესში, მოსაუბრის რეაქციების მიხედვით, შეუძლია შეთხვული შეამოწმოს. უარყოფითი რეაქციის საპასუხოდ იქვე, იმპროვიზაციულად, იქნება ახალი ვარიანტი.

ეს პერიოდი, ჩვეულებრივ, ძალზე აქტიურია და ქმედითი. რეაისორი აღგზნებული და გატაცებულია თვით შეთხვის პროცესით. არის შეზღუდული, ამიტომაც არაფერს დაგიდევთ, თავისუფლად თხზავს და ამისგან უდიდეს სიმღვნებას იღებს. ესაა პერიოდი აქტიური რეაისორული დაზვერვისა ყველა შესაძლებელი და შეუძლებელი მიმართულებით, როცა ის კონკრეტულ შედეგებზე ჯერ მაინცდამაინც არ ჰქონავს. ესაა იდეათა დაგროვების პერიოდი.

3. ანალოგიები. ორიგინალური იდეების დიდი რაოდენობა იბადებასცენურ გადაწყვეტათა ცნობილ ვარიანტებთან ანალოგის მიხედვით. ბეჭრი თეატრალური გადაწყვეტა, რომელთა მიგალითი რეაისორის კლასიკა გახდა, შესანიშნავი ტრამპლინია სრულიად ახალი იდეების წარმოშობისა. არავის

შეუგროვებია და აღუნუსხავს ისინი, არავის შეუქმნია ის კლასიკურ-თეატრალურ ფორმათა კრებული, რომლებიც შეიქმნა პროფესიის ისტორიის მანძილზე საუკეთესო რეაისორების სახელგანთქმული ცდების საფუძველზე. მაგრამ ეს მაგალითები მაინც შემოგვინახა აღამიანთა მეხსიერებამ, აღწერებმა, ეს-ზებმა და ფოტოსურათებმა. აი, რამდენიმე მათგანი:

სპექტაკლი — კარნავალი  
სპექტაკლი — თეატრის თამაში  
სპექტაკლი — ცხოვრების ილუზი  
სპექტაკლი — რომანტიკული  
სპექტაკლი — ზღაპარი  
სპექტაკლი — პათეტიკული  
სპექტაკლი — ნიღაბთა კომედია  
სპექტაკლი — საცირკო ჭარმოლგენა  
სპექტაკლი — კონცერტი  
სპექტაკლი — ძეგლი  
სპექტაკლი — პუბლიცისტური  
სპექტაკლი — ფიქრი, განსკა  
სპექტაკლი — დოკუმენტი  
სპექტაკლი — მიტინგი, მანიფესტაცია  
სპექტაკლი — დისკუსია  
სპექტაკლი — ლეგენდა  
სპექტაკლი — თოჯინების თეატრის ხერხი  
სპექტაკლი — გასაღების ჭუჭრუტანაში დანახული ცხოვრება

სპექტაკლი — სამოედნო თეატრი  
სპექტაკლი — ბალაგანი  
სპექტაკლი — ბალეტი, თუმცა არავინ ცეკვა  
სპექტაკლი — სასამართლო პროცესი  
სპექტაკლი — იმპროცესი

ბეჭრია, ძალიან ბეჭრია თეატრალური თამაშის ხერხი. დიდად სასარგებლოა მათი შესწავლა და დამუშავება. დაწვრილებით უნდა შევისწავლოთ ისინი, რათა შეგვეძლოს ამ ხერხთა არსის გამოყენება, მათი ამოსავალ წერტილად მიჩნევა, ახალი შინაარსის ჩასხმა ცველ ტიპორიაში. ცხადია, არაფერი ბრმად არ უნდა გაღმოვიტანოთ, უნდა ავითვისოთ ხერხის არსი და არა მზა ფორმა. სხვა რეაისორისაგან მზა ფორმის აღება—ქურდობაა, პლაგიატობა. რატომდაც ამისათვის სამართალში არავის აძლევენ.

უნდა შევისწავლოთ განსხვავებული სახის თეატრები და მათი ხერხები — ანტიკური, შექსპირის თეატრი, კაბუკის იაპონური თეატრი, ესპანური თეატრი, ნიღაბთა თეატრი, პინკატორის საკუთრივი თეატრი და მრავალი სხვა. თითოეული შათვანი შეიძლება სცენური გადაწყვეტის ახალი იდეის კატალიზატორი გახდეს.

4. გაუცხოვება, ჩემი თვალსაზრისით, ძალიან კარგი ხერხია ახალი იდეების მისაღებად, პიესის მოქმედებისათვის გამოვონილი სიტუაციის შესაქმნელად. საშუალება მოქმედების გამოვონილ სამყაროში გადასატანად, რათა იგი მანძილიდან დავინახოთ სრულიად ახალ, მოულოდნელ გარემოში.

არქიმედს რომ სამყარო გადაებრუნებინა ან ცოტა მაინც იყვირავებინა, აუცილებლად სჭირდებოდა საყრდენი წერტილი სამყაროს გარეთ. ასევე ძალიან სასარგებლოა რეჟისორისათვის პიესის მმებები პირობითს სამყაროში დაინახოს. მაგალითად მოქმედება გადაიტანოს სულხან-საბა თრბელინის „სიბრძნე სიცრუის“ გარემოში, ანდა სვითტის მიერ მოვონილ ლილაპუტების თუ გოლიათთა ქვეყანაში, ანდა დიდ გორეთს მიერ შეთხეულ ცხოველთა სამყაროში, სადაც ცხოვრობდა რაინეკე მელა. იქნებ მოქმედება ა. ტოლსტოის „ოქროს გასაღების“ ოჯინათა სამყაროში გადაიტანოთ, თუმცა შეიძლება პირდაპირ პინკიოს ქვეყანაში გავემგზავროთ ანდა ქონდარეთში — ა. სულაკაურისეულ ქვეყანაში და ა. შ. და ა. შ. გარე თვალი, მანძილით დაზორებული მზერა, წარმოსახვითს სამყაროში გადაბარება ერთობ მარჯვე საშუალებაა ახალი გადაწყვეტის წარმოშმისათვის.

5. თეატრიალური იდეათა ძიება მსოფლიოს ხალხთა თამაშობებში. მისათვის საჭიროა ძალიან ბევრი იკითხო, შეისწავლო, ექიმ, გამოკითხო ადამიანებს, იჯდე ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში, იარო გამოფენებზე, ყოველთვის საქმის კურსში უნდა იყო, რა ხდება მსოფლიო თეატრებში. მაგრამ უველაზე საინტერესო იდეები უნდა ვეძიოთ ხალხური თეატრის, ხალხურ თამაშობათა, დღესასწაულთა, რიტუალია და მათთან დაკავშირებულ მოქმედებათა საკუთარ ეროვნულ ფორმებში. რა კნინადაა გამოყენებული ჩერაც ჩვენს თეატრებში თეატრალურ ხერხთა ისეთი მდიდარი საუნჯე, როგორიცაა სხვადასხვა სახის ბერიკაობა (ყოველ რაიონს თვისი, სხვათავან განსხვავებული ტრადიციები აქვს), ყევენობა, დატირება (ტრაგედიისათვის!), ქორწილი, მარიამი მონაბა — ეს ხომ განუმეორებელი თეატრალური ფორმა თავისი დასაწყისით, განვითარებით და დასასრუ-

ლით. საქართველოს ყველა კუთხეში ეს ზეიმი და რიტუალი სულ სხვადასხვა ფორმებს იღებს, მხოლოდ ამ კუთხისათვის დამახასიათებელ თვისებებს. და თუკი მუსიკოს-ფოლკლორისტები ამ სიმძიდებელს იგროვებენ, რათა შემდგომ თავის ნაწარმოებებში გამოიყენონ, რატომ ამასვე არ აკეთებენ რეჟისორები? წაკითხული და თვალით ნანახი ხომ სულ სხვადასხვაა. რეჟისორმა უნდა დაინახოს და იგრძნოს, რათა შემდევ გამოიყენოს.

ზოგიერთი რეჟისორისათვის იტალიური კარნავალის ხერხი, რასაც მიმართა რეჟისორმა ძეგირელიმ თავისი სპექტაკლის („ჭირვეულის მორჩულება“) და მერე ფილმის გადაწყვეტილის, რატომღაც, უფრო დიდი კატალიზატორია, ვიდრე ჩვენთვის გაცილებით უფრო ორგანული ბერიკაობა. მიზეზი აღმასათ ისაა, რომ ძეგირელიმ უკვე დაამუშავა. სპექტაკლში „კარნავალის“ პრინციპი და მისთვის ბავშვობიდანვე ნაცნობ ამ ფორმას მინიჭია გარკვეული იდეა, ხოლო ბერიკაობა კერძო ისევ ასათვისებელია თანამედროვე ხელოვნების თვალსაზრისით, ე. ი. ამ ფორმაში აზრია ჩასაღები. სპექტაკლის სახი ერთგან ზემოქმედების წყარო კი არა, მისი გამაძლიერებელია, მაგრამ თუ არაფერია გასაძლიერებელი, სახი იერება უაზრობად იქცევა.

მე გთავაზობთ ზოგიერთ ხერხს, მიდგომას, რაც ხელს გვიწყობს დავაგროვოთ სპექტაკლის გადაწყვეტის ვარიანტები, თავი გავინთავისუფლოთ აკვიატებული, ზედაპირული იღებისაგან; მაგრამ, განა შეიძლება ამის დადგენილ წესად ქცევა? ისე, როგორც შეუძლებელია საჭადრაკო პარტიის უველავრიანტის ჩამოთვლა, ასევე შეუძლებელია სცენური სახის ყველა წესის განსაზღვრა. ეს პროცესი ფრიად სუბიექტურია და სათუთი, იგი დამოკიდებულია მრავალ, საანალიზოდ მოუხელთებელ პირობაზე.

ერთხელ, ლ. ტოლსტოი ა. ფეტისაღმი მიმართულ ბარათში სინანულს გამოჰკვამდა, რა ძნელია მოიფიქრო მილიონი შესიტყვება და ვარიანტი, რათა ერთადერთი ამოირჩიოო.

ამრიგად, მეორე ეტაპი ესაა ეტაპი დაზევერვისა ყველა მიმართულებით, ეტაპი ანალიტიკური და ექსპერტური, საინტერესო იდეათა და გადაწყვეტათა ძიება.

### მესამე ეტაპი — საინკუბაციო პრერიოდი

მე ყოველთვის უბოროტო შური მქონდა ფერმწერთა, კომპიზიტორთა, მწერალთა, რომელთაც შეუძლიათ დროებით გადადონ თავისი სამუშაო და ცოტია „შესივენონ“. გარკვეული დრო რომ გაივლის, სურვილისამებრ შეუძლია და გადაწყვეტათა ძიება.

ლიათ კვლავ დაუბრუნდნენ ტილოს, შოისმინონ შელოდია, წაიკითხონ დაწერილი, უცხო თვალით შეხედონ, თითქოს სხვისი ნაწარმოებიაო. ამ დროს შეუძლიათ დაინახონ შეცდომები, იპოვონ უფრო მართალი გადაწყვეტა, მიუკერძოებლად ასწონ-დასწონონ. შემსრულებლებთან პრაქტიკული სარეპეტიციო მუშაობის დროს რეჟისორები მოკლებულნი არიან ამ შესაძლებლობას. თეატრს ხომ ვერ გააჩერებ? ასეთი შესაძლებლობა რეჟისორს მხოლოდ მომავალი სპექტაკლის სარეჟისორო გეგმის შეთხვის დროს ეძლევა.

ეს ეტაპი შეუმჩნევლად დგება. რაკი რეჟისორმა შეაგროვა „ნაბოლვარი იდეები“, თითქოს ჩაიკეტა, სხვათა თვალში თითქოს მიატოვა კიდეც მომავალ სპექტაკლზე ფიქრი. რეჟისორი ლოდინს იწყებს. არა, ეს სრულებითაც არ არის შესვენება, არც სიმშვიდე, არც მოდუნება, პირიქით. ამ მომენტში მიმდინარეობს დაგროვილი მსალიდან ქვეცნობიერი შერჩევა, რაა საჭირო და რაა ზედმეტი. გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტები დუღს და იხარშება — ქვეცნობიერს ხომ ვერ გამორთავ. იგი მუშაობას განაგრძობს მაშინაც, როცა რეჟისორი სულ სხვა საკითხებითაა დაკავებული, როცა ლაპარაკობს განყენებულ თემაზე, ნარდს თამაშობს ან წმინდა საყოფაცხოვრებო საქმეს აკეთებს, ზის კრებაზე ან ახალ ფილმს უყრებს. რეჟისორი თითქოს ლოდინს იწყებს — მონადირესავით ზაფანებს დაგებს და ელოდება, როდის მოხვდება, გაებმება ხაფანგში ის, რაც ასე სასურველია და აუცილებელი. სრულიად ქვეცნობიერად იხვეწება გადაწყვეტის ვარიანტები, პიესის მოვლენათა შორის ისახება კიგშირი, ზუსტდება კონფლიქტის არსი და ეს ყოველივე უკავშირდება თეატრალური თამაშის უკვე დაგროვილ სხვადასხვა ხერხსა და მის პლასტიკურ ხორცებს ხმას.

რეჟისორის ტვინი არა მარტო ინახავს, არამედ, რაც მთავარია, შეუმჩნევლად ამუშავებს ყველა უცარად წარმოშობილ აზრს, იდეას, სახეს, შთაბეჭდილებას. დროდადრო სრულიად გაუცნობიერებლად თავის „საკუჭნაოდან“ ხანერთ, ხან მეორე იდეას გმირთებეს, რაღაცას ცვლის, რაღაცას ასტვათერებს, რაღაცაზე ხელს იღებს, რაღაცას უმატებს და ისევ მალავს თავის საგანძურში. ყველა ნამდვილ ხელოვანს ეს საგანძური ყოველთვის საცხე აქვს ათასნაირი უმაქნისი „ხარახურით“, რომელიც სავინიცობოდ შემოუნახავს. ნაკლებ ნიჭიერ რეჟისორს ამ საგანძურში ჩვეულებრივ არაფერი აქვს, ანდა ორი-სამი აზრი თუ დალასლასებს იქ. საჭიროებისას ამოაცოცებს ხოლმე რეჟისორი დღის სინათლეზე ამ იღებს, რომელიც ხშირი გამოყენების გამო სრულიად

გაბერწებულან. ნამდვილი რეჟისორი სულ თავისი ძიების ობიექტსაა მიზაჭვული. მისი წარმოსახვა და აზროვნება ამ მოჩვენებითი სიმშედის დროს მზადაა შეუმჩნევლად შექმნას ყველაზე მოულოდნელი და პარადოქსული იერსახენი და გააკეთოს ლოგიკური დასკვნები.

მაგრამ გარეგნულად რეჟისორი ისვენებს სპექტაკლისაგან და პიესისაგან. ტექსტს ხელს არ ჰქიდებს, ცდილობს სხვა რამით გაირთოს თავი, ხშირად



სურ. 26

სხვა პიესაზე იწყებს მუშაობას. ესაა პერიოდი (შეიძლება იგი გრძელი იყოს ან მოკლე) მოლოდინი ნისა. ეს ის ეტაპია, როცა ნაყოფი მწიფდება. ძალიან ცუდია, თუკი ხელოვნურად ცდილობენ ამ ეტაპის დაჩარებას (სურ. 26).

## მეოთხე ეტაპი — ევრიკა!

გენიოსში შესანიშნავია შესაძლებლობათა  
გაცხრილების უნარი.

უ. რ. ეშბა

და აი, ბოლოს დგება მომენტი, როდესაც რეჟისორის მთელ არსებას დაქუცულება ამორჩეული სცენური გადაწყვეტის უცილობლობის გრძნობა. მისი გონიერი უცერივ არაჩეულებრივ ნათელი ხდება, საძიებელი გადაწყვეტა მიგნებულია. ყველაფერი გასაგები და მსუბუქია, ყველაფერი თავისთავად ლაგდება, როგორც სათამაშო ქაღალდი, როცა პასიანსი გამოდის. ქვეცნობიერმა თავისი სეიფიდან გამოიწვია ახალი იდეა, რომელიც უკვე კარგა ხანი მჭიდრებოდა, მაგრამ აქემდე მას სხვა იდეები არ აძლევდნენ გზას. გადაწყვეტა თითქოს თავისთავად წარმოიშობა, ბიძგად გამოდგება ხოლმე შემთხვევითი აზრი, მაგრამ ეს აზრი თუ ფაქტი რა ხანი მხადვებოდა შემოქმედებითი ლაბორატორიის წიაღში, მოახაზია სინჯთა და ყველაზე უფრო ფართასტიურ მოდელთა შორის.

წმირად პატარა, თითქოსდა, შეუმჩნეველი დეტალი უცერივ ინტუიციურად დააინტერესებს რეჟისორს და არიადნას ის ძაფი ხდება, რომლის მეოხებით იწყებს ძახვას და ხვევას ფსიქოლოგიური მიგნება, — სცენური აღმოჩენის წყარო. ყველაზე უფრო ხშირად სწორედ ასეთი შემთხვევითი მიხევდა გაუხსნის რეჟისორს მოულოდნელად პიესაში იღწერილ მოვლენათა ღრმად ჩამარხულ მიზეზობრივ კავშირს.

ვახტანგოვს, როცა ის კ. გორის პიესა „პრინცესა ტურანდოტზე“ მუშაობდა, კარგა ხანს ვერ შეენო სპექტაკლის გადაწყვეტისათვის. როგორც ეს ჩევეულებრივ ხდება ხოლმე, მიგნება უცერივი იყო. ვახტანგოვმა გადაწყვიტა, სპექტაკლის დადგმისას, მიხმართა იტალიური ნილბების კომედიის ჩევეულებისათვის — სპექტაკლის მსვლელობისას საკუთარი, საჭირბოროტო რეპლიკები და რეპრიზები ჩატარდა. პიესა მხოლოდ საბაზი ხდებოდა აქტუალური თეატრალური თამაშისა. ეს ხერხი გახდა სწორედ ვახტანგოვის თეატრალური აღმოჩენის წყარო. და აი, სპექტაკლის დადგმიდან უკვე 50 წელზე მეტი გავიდა, და მთელი ამ ხნის განმავლობაში ბაძავენ მას, უღმერთოდ ქურდავენ, ის კი მაინც მუდამ იცოცხებს ჩევენს წარმოდგენაში. ასე უკვდავია ყველა თეატრალური აღმოჩენა. წელთა სიმრავლე მას აღამიანების წარმოდგენაში ლეგენდად აქცევს. ეს ლეგენდა ხდება თეატრალური თამაშის ერთ-ერთი ხერხში მიუღწეველი ეტალონი.

ბედნიერი მიგნებანი ძალიან ცოტაა. მასსოვს საინტერესო სცენური გადაწყვეტა სპექტაკლისა „რიჩარდ მესამე“ (რეჟისორი გ. უშიშრიშვილი, მხატვარი ი. სუმბათაშვილი). ეს გადაწყვეტა გახლდათ სცენის სიღრმეში დამაგრებული ციხე-სიმაგრის მოძრავი ხდიდი. იგი ხან შეკრებათა მაგიდა ხდებოდა, ხან ინტერიერის ჭერი, და ა. შ. სპექტაკლის მთელი პლასტიკური იერსახე ამ ფრიად საინტერესო გამონაგონის გარშემო იყო აგებული.

საინტერესო იყო სპექტაკლ „სეილემის პროცესი“ გადაწყვეტა (რეჟისორი რ. სტურუა, მხატვარი ი. ქოჩაიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაძე). ამ სპექტაკლში გადაწყვეტის საძირკველი გახდა ვეება, დიდი მორებით ნაგები, უხეში თოვითა და ნამდგილი ლითონით დამშვენებული სახრჩობელა. ამ სამყაროს სიმბოლო — ხალხის მუსრის გამვლები უზარმაზარი ნაგები ბობა ა. თავისუფალი აზროვნების მცირეოდენი ცდაც კი ისპობა და ყველანი, ვინც ამ სახრჩობელის ჩრდილში ცხოვრობენ, მოახლოებული სიკლილის შეუცნობელი, უჩვეულო შიშით არიან დათრგუნვილნი. სწორედ ეს ოწვევს მათს სასოწარკვეთას. ამის გამო, სპექტაკლის ყველა პერსონაჟისტრიერიამდეა მისული.

ძალიან ხშირად ასეთი გაელვებანი, ხილვნი წარმოიქმნებიან მხატვრის მიერ წარმატებით შესრულებული ესკიზების მეოხებით. დიდი ხნის ძიებული უცერივ თავს იჩენს მხატვრისაგან მიგნებულ პლასტიკურ გადაწყვეტაში. ამ მხრივ, ჩემი აზრით, საინტერესოა გადაწყვეტა სპექტაკლ „სიბრძნე-სიცრუისა“ სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით (მხატვარი ნ. იგნატოვი, რეჟისორები ნ. ხატისკაცი და თ. მაღალაშვილი) და თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლი „გუშინდელნი“ (მხატვარი მ. ჭავჭავაძე, დადგმის ხელმძღვანელი თ. ჩხეიძე). პირველ შემთხვევაში გამოყენებული იყო უზარმაზარი, ძალიან საინტერესოდ შესრულებული საქართველოს პანორამა და ბერიეობის დეტალები, მეორე შემთხვევაში — გრძელი მაგიდა, რომლის გარშემო ხდებოდა სპექტაკლის ყველა ამბავი. ეს იყო განსაკუთრებული სამყარო.

მაგიდის სახე კრებითია. ეს იყო საქართველო, რომელიც ყოველ თავის საქმეს, მნიშვნელოვნსა თუ უმნიშვნელოს, სუფრის გარშემო წყვეტის ღვინის კიქით ხელში. უხარია და წუხს, ხედება სასურველსა თუ საძულველ სტუმრებს, იხდის ქორწილს და იხდის ქელებს. ლამაზი ქართული სუფრა, ივარქმნილი ქართული სუფრა, გაიძვერათა სატყუარა. ქართული სუფრა მკაცრი და ნაღვლიანი მახლობელთა სასაფლაოდან დაბრუნების შემდეგ — ეს სცენური სიმბოლო.

ასეთ სამყაროს უნდა მაგნო, დაინახო სწორედ ისე, როგორც ალისამდანახა ჭარა კარგი კი ა. ჭვეულა ნანა — სარკის მიღმა ჭვეულა ნანა.

ასე დაინახეს და ასე შევიღნენ „პულრის ეპოქის“ ოქროს ჩარჩოში ი. გამ-  
13. მ. თუმანიშვილი

რეკლიმა და დ. ოლექსინძე და იქ აღმოაჩინეს სასაცილო ისტორია ვატოს სტილის თოჯინების ცხოვრებიდან (კ. გოლდონის „საპატარძლო აფიშით“). ანდა, გავითხსენოთ სტანისლავსკის, ნემიროვიჩ-დანჩენკოსა და სიმოვის საუკეთესო სპექტაკლები: გორკის „ფსევრზე“, და ა. ჩეხოვის „საძი და“, სადაც ღამის გასათვევის ნაძირალების ყოფა და საუკუნის დამდეგის ინტელიგენციის ცხოვრება გადმოცემული იყო სკრუპულობით დამაჯერებლობით. ღამის გასათვევის სინოტივე და კედლების ომი, ფეხთა ქვეშ ნამდვილი საშემოღომო ფოთლების ხმა ძველ პარკში უდიდესი მნიშვნელობისა იყო. ნატურის აღქმის სიზუსტე აქ პრინციპად იქცა.

ნამდგილად სცენური გადაწყვეტა ფორმის მიხედვით ყოველთვის მოულოდნელია, მასში ყველაფერი ლოგიკურად მწყობრია, მაგრამ მოულოდნელის ელემენტი მას ხელოვნებად აქცევს.

მეცნიერება — დაწყეტის სისწორის შემოწმება პიესით

არ შეიძლება ფორმის დაცვა აზრისგან,  
არ შეიძლება შინაარსის დაცვა ფორმისგან.

## 6. ഒബ്ലോപ്പ്‌സ്റ്ററ്

ახლა, როცა გადაწყვეტა ნაპოვნია, რეუსისორმა უბრძლვე უნდა გადა კი ითხოს პიესა, რომელზედაც იგი მუშაობს და შეკამოწმოს, ხომ არ შორის დება მიგნებული გადაწყვეტა ავტორის ჩანაფიქრს. უნდა შეკამოწმდეს, როგორ მოხდა ავტორისაგან მოცემული ცხოვრების „აკლიმატიზაცია“ მისთვის ახლად ბოძებულ „ბინაში“ (ფორმაში). ხომ არაა უცხო მიგნებული ფორმა, თეატრალური თამაშის ხერხი თვით პიესის არსისათვის? უნდა შემოწმდეს, ძალადობს ხომ არ ჰქონია ადგილი, როცა ორი ჩანაფიქრი — ავტორისა და რეჟისორის — შევაერთეთ. ფრიად შარმოკიდებით უნდა მოვექცეთ საკუთარ თავს, თუნდაც ზოგადად უნდა შემოწმდეს საკითხი საკუთარი გამონაგონისა და ავტორის გამონაგონის შეთავსებადობისა.

მასხოვეს, როგორ დადგა ერთმა ჩემმა მოწაფეებ — რეფისორმა დ. კლდია-შვილის „მსხვერპლი“ და მიზანი, როგორც მას მაშინ მოეჩენა, ახმეტელის „ან-ზორის“ სცენური დადგმის ხერხს. არაფერი გამოვიდა, თუმცა სპექტაკლი ძალიან კურგად იყო ორგანიზებული, ცნება და მსახიობთა ტემპერამენტი არ აკლდა. მასში იყო ძალიან მჯეოთობა და გამოსახული მიზანსცენები, მაგრამ არ იყო დ. კლდიაშვილი. მივიღეთ ამ ინტელიგენტი, რბილი და ძალიან კეთი-

ლი მხატვრისათვის სრულიად უცხო ფორმა და რიტმი. სპექტაკლში მოხდა შეუთავსებლობა და პიესამ (ორგანიზმა) უარყო მისთვის არაორგანული გადაწყვეტა.

სამდენიც არ უნდა ვიკამათოთ, თანამედროვე თეატრი მაინც ლიტერატურისა გან ამოიზარდა, თვით შეირჩოლდის ნატევამი: „ლიტერატურა გვკარნახობს თეატრს“ — აქიმომა გჭლავთ.


ყველასათვის ნათელია, რომ დ. კლდიაშვილი არ შეიძლება ისე დაიდგას, როგორც ვაჟა-ფშაველა, ხოლო შ. დადიანი, როგორც დ. კლდიაშვილი, ეს ისევე შეუთავსებელია, როგორც შობენის დაკვრა ბეთოვენის დარაღ. თუნდაც წუთით დაგუშვათ ისეთი რამ, რაღაც უცნაური და შეუთავსებელი წარმოგვიდგება, მაგრამ თეატრში, რატომღაც, იშვიათად თუ აღშფოთდება ვნებე ამგარი თეატრალური გაუნათლებლობით. სპექტაკლის გადაწყვეტა უ ნ დ ა შე ე ს ა-ბა მ ე ბ ო დ ე ს მ ო კ ლ ე ნ ა თ ა გ ა დ მ თ ც ე მ ი ს ა ვ ტ ო რ ი ს ე უ ლ ე რ ჩ ს. შეიძლება „პამლეტი“ ნებისმიერი რეჟისორული ინტერპრეტაციით წარმოვიდგინოთ, მაგრამ ყველა ცდის უკან მაინც ერთი „პამლეტი“ დგას — შექსპირული. იგია სპექტაკლის საძირკველი.

ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ ପାତାଳି — ଲାଭପୂରୁଷଙ୍କୁରେଣ୍ଟ

შეიგრძნელდს საჩუქისორი ხელონება ეს-  
მოდა როგორც პოეზიითა და ფანტაზიით შთა-  
გონებული დახვეწილი ოსტატობა. მან იკოდა  
ფასი „ხელობისა“, სპექტაკლის „გაკეთებისა,  
ჰექუასა და არითმეტიკას“ არანაკლებ ფასს  
ადებდა, ვიღორე პოეზიას, ხოლო განვარიშე-  
ბას არანაკლებს, ვიღორე გამშტალობას, გამო-  
თვლა, მიხედრა და გამორანგირშება ღრიონისა  
და სიცრტისა მისი სტიქია იყო, რომელშიაც  
იგი შედიოდა ლიტერატურის, ფერწერისა და  
მუსიკის ცოდნით ყოველმხრივ აღჭურვილო.

o. ፭፻፲፻፯፻፯፻

გადაწყვეტის დამუშავება — ნიშანას პრაქტიკულად შეუდგე სპეც-ტაკლის „ძერწვას“ ყველა წვრილმანის გათვალისწინებით. დამუშავების სავარაუდო სქემა შეიძლება ქაღალდზე გამოსახოთ რეპეტიციათა დაწყებამდე, შეიძლება უშუალოდ აქტიონებთან მუშაობის დროს. ეს დამოკიდებულია



ოვითონ რეალუსორზე, მის მიღებულებაზე, ნიჭიე, მოხერხებაზე, დამუშავება, რა თქმა უნდა, მხოლოდ შენიშვნებია მომავალი პროცესისათვის.

გადაწყვეტილება დამუშავება — ნიშნავს მიგნებული გადაწყვეტილების პრიზმით დაინახო და შეთხხა მომავალი სპექტაკლის ფარების გადაწყვეტილების და შემცირების — უოველი ამბის, უოველი ეპიზოდის ფანტაზიით მოფიქრებას. დამუშავება — ნიშნავს მოქმედებაში დაინახო სპექტაკლის ყველა დეტალი, რომლებიც გადაწყვეტილი იქნებიან პლასტიკურ, ბევრითსა და რიტმულ გამოსახულებაში. დამუშავება გადაწყვეტის რეალიზაცია.

\* \* \*

ამ, ის ექვსი ეტაპი, რომელიც უნდა გაიაროს რეალუსორმა სცენური გადაწყვეტის ძიებისას. ჩვენ უოველ მათგანზე შევჩერდით და ზოგადად განვიხილეთ, რათა აღარ დავიგიწყოთ, რომ:

1. გადაწყვეტის ძიება არ შეიძლება, თუკი არაა დაზუსტებული ძიების ამოცანა და რეალუსორი მომართული არაა შემოქმედებითად.
2. გარიანტები ბევრი უნდა ვეძიოთ და არ შევჩერდეთ პირველზე.
3. არ შეიძლება პროცესის დაჩქარება, მაგრამ არ შეიძლება ძიების შეწყვეტა.
4. აუცილებელია მიგნებული გადაწყვეტის შემოწმება პიესით. ეს თეატრის კანონია.
5. გადაწყვეტის პოვნა იმას არ ნიშნავს, რომ სპექტაკლი მზადაა. გადაწყვეტია დამუშავებით უნდა დავინამდვილოთ.

\* \* \*

იმისათვის, რომ გასავები იყოს, რა უნდა ვიგულისხმოთ დამუშავებაში, მოვიყვან სარეალუსორო ექსპლიკაციის მაგალითს რუსთაველის თეატრის სპექტაკლ „იულიუს კეისრიდან“ (შექმნილის მიხედვით).

მოკლედ სპექტაკლის ჩანაფიქრისა და მისი გადაწყვეტის შესახებ.

რის შესახებაა ეს სპექტაკლი?

ჩანაფიქრის საფუძვლად უდევს მონტენის სიტყვები: „საკმაოდ შორსმჭვრეტელი ვერაა კაცი, მხოლოდ იშის მოსპობა რომ უნდა, რასაც მისთვის მო-

აქვს ვნება, რამეთუ კეთილი უცილობლად როდი იჭერს ბოროტის ადგილს. ბოროტებას შეიძლება ახალი ბოროტება მოჰკვეს, თანაც უარესი. ასე მოუფი- დათ კეისრის მკვლელებს, რომლებმაც ისეთი ღილი უბედურება დაატეხეს თავს რეპუბლიკას, რომ საშინელმა სინანულმა შეიძყრო ისინი, რისთვის ჩა- ვერითო სახელმწიფო საქმეებში. იმ დროიდან მოკიდებული ჩვენს დღემდე შრავალთა გაიმეორეს იგივე“ (მიშელ მონტენი. „ლირსეული ცხოვრების ხე- ლოგნებისათვის“).

სცექტაკლი იმის შესახებაა, თუ როგორ მოახვია თავს პირადი მიზნებით ამოქმედებულმა პოლიტიკანთა ბრძომ კეისრის თავნებობითა და კულტიო უქამაყოფილო ხალხს ს ის ხ ლ ი ს მ ღ ვ რ ე ლ ი ს ა მ თ ქ ა ლ ა ქ ი ღ მ ი დ ა ჟ ლ ე ტ ა. არავინ არ ფიქრობდა არც მამულზე, არც ხალხის კეთილდღეობაზე, არც ქვეყნის აყვავებაზე — მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდნენ. თუმცა დარწმუნებული იყვნენ, საზოგადოებრივ საქმეს ვაკეთებოთ. ყველანი, გარდა დონ კიხოტ ბრუტოსისა.

როგორი უნდა ყოფილიყო სპექტაკლი? ეს უნდა ყოფილიყო ჩვენი თვალით დანახული და შექსპირის სიტყვით აღწერილი დღვევანდველი მძავი. ის, სპექტაკლის პრინციპი!

„გლობუსის“ თეატრის კარიბჭეზე წარწერაა: „მთელი ქვეყნიერება კომედიას თამაშობს“. ხის ფიცარნაგი — თამაშის მოედანი, გარშემო კი აღამიანები. ჩვეულებრივი, ჩვენი მსგავსი აღამიანები, მათ წინაშე და მათი მონაწილეობით თამაშება იულიუს კეისრის ტრაგედია.

მე მახსოვეს, დიდი ხნის წინათ, როცა თეატრი ჯერ კიდევ საყველოთა  
სიყვარულით სარგებლობდა, სპექტაკლის დროს კულისებთან, ჩვეულებრივ,  
მოგროვდებოდნენ ხოლმე სცენის მუშები და დიდი ინტერესით აღვნებდნენ  
თვალს სცენას. ეს უბრალო, თეატრისათვის თავდადებული აღმანიანები შესა-  
ნიშვნად იცნობდნენ მათგან მოწონებულ ყველა სპექტაკლს. ყოველი რეპლი-  
კა ზემდოთ ზეპირად ეთქვათ, საყვარელი მონოლოგი წაეკითხათ. ისინი იყვ-  
ნენ შსაბიობთა თამაშის პირველი შემფსებლები, მათი შიხელვით ასკვნილ-  
ნენ, ივლიდა თუ არა მაყურებელი ამ სპექტაკლზე.

გამასხენდნენ ეს ადამიანები და გავიიქცირე: ხომ არ შეიძლება ისეთი წარმოლენა შოვაწყოთ, სადაც სცენის მუშები, ჯერ წარმოლენების ამზადებლნენ, ხოლო შემდეგ თვალყურს აღევნებდნენ მოქმედებას, სპექტაკლის ამბებით გატაცებულნი ჟერმიჩნევლად თვითონვე ჟევიდნენ მოქმედებაში და მონაწილეობა მიიღონ როგორც რომის პლებსმა? ხოლო როცა დამთავრდება სპექტაკლი, გონის მოეგებიან და მიხვდებიან, ამ ამბავში სულ ზედმეტი ვიყავთო.

პლებსის ხაზის განვითარება სპექტაკლში  
(ყოველ სცენაში თავისებურად უნდა იყოს ნაჩვენები ხალხის ბეჭი)  
თეატრი, ფიცარნაზი, წარმოდგენის სამზადისი

1. დღეს აქ მსახიობები ტრაგედიას თამაშობენ, მანამდე კი სცენის მუშები, ჩამტელები, რეკვიზიტორები ყველაფერს აუცილებელს ამზადებდნენ სცენისათვის. დამლაგებელი „ქალი პეტრი“, ორი ქალი აკერებს ფარდას, წინა სპექტაკლზე რომ გაიხა. გამნათებლები „რამპაზე“ დგამენ ნავთის ფარნებს, როგორც ეს ძველ თეატრში იცოდნენ. საიდანღაც მოაქვთ ფარ-შუბი, ჭერილა დიდი დოლები ჩამოდის, რომელთა საშუალებით გამოიხატება მეხი და წვემა. ეს სწორედ აქ მოხდება, ხალხის თვალწინ. შემთაქვთ ხის თაღები. რა თქმა უნდა, ეს არაა რომის ტრიუმფალური გიგანტები, მაგრამ თეატრი ხომ მთლად ცხოვრება არაა, მაინც მხოლოდ მოდელია ცხოვრებისა. მას ქმნიან ფიქრისა და განსჯისათვის, ქმნიან იმისათვის, რომ მანძილიდან შეხედონ პრობლემას. მაგრამ სპექტაკლისათვის ჯერ მხოლოდ ემზადებან, ამიტომ ეს ყველაფერი ჭიანჭველს ბუდესა ჰგავს. ვიღაც მუშა მღერის, რომ ყოველ საღამოს თეატრი ცოცხლდება წარმოდგენილი ცხოვრებით, ყოველ მსახიობს, ისევე როგორც ცხოვრებაში ადამიანებს, თავისი როლი აქვს. ამ როლებს ადამიანები თამაშობენ სიკვდილამდე, ცდილობენ რა ცხოვრების არსს ჩასწვდნენ. ცხოვრება თვალთმატცობაა! მაგრამ ის მაინც მშვენიერი და შეუდარებელია.

Սաուզանդաց զամուցքրեծա Տյուլուսունու, հիօթանու կյալուտ և զբեծա Տաղալուտ։ Ամուզքի Տյուսու զաշեմթլարս, մալուս մզել, Հայուլուտուլ զաշեմթլարս։ Ինչ, Եմուրաց պատմանուտ յս Տյոյսա, ծառալու զամուհնեցա Հայուսունուս տանաշեմթիւ, Նարս ուժու յանս, պայունուս առարտենունունիւն։ Տայումիւնու ունկնեցան.

2. ცარიელ აღილზე გამოჩნდება პროლოგი — კაცი შავი მანტითა და მწვანე ჩაით. ასეთი „პროლოგები“ იყვნენ ელისაბედისძროინდელ თეატრში. ხელში პლაკატი-აფიშა უჭირავს „დღეს წარმოდგენილი იქნება იულიუს კეისარის ნამდვილი და ძველთაძველი ამბავი, დაწერილი სახელგანთქმული შექსპირის მიერ“. გამოვარდება გოგონა და გამოიტანს წარწერას „რომის ქუჩას“.

3. მ ო ე დ ა ნ ი. გამშულია თოკები. ერთ მხარეს არიან წესრიგის დამცველი, მეორე მხარეს — ხალხი. ხალხი ბევრია: მუშები, ხელოსნები, რომის პლები. აქ მოტეკეს და ლოდინი უბრძანეს. თუკი უკმაყოფილებას გამოხატავენ, დაუტატანებენ და დაემუშავებიან, ვირის აბანო არ აგცდებათო. ეს ხალხის პირები მდგრადია.

4. მეორე მდგომარეობა — მოზეიმე ბრწო. თითქოს სისხლის წვიმა ეპკურებათ მოედანს, როგორც სახალხო ტრაგედიის წინაშარმეტყველი.

ეს წითელი ყვავილებია ოდამიანთა ბრძოლან რომ ისვრიან, ხალხი ღალადებს: „დიდება, დიდება, დიდება კეისარს!“

5. წვიმა, მაგრამ ამჯერად თეატრალური. ჩანს, როგორ აკეთებენ ამას სკენის მუშები. ბრძოლა სტადიონიდან გარბის. ვიღაც იგნება, ვიღაც ბავშვების დარღი აქვს, ვიღაც ხუმრობს და კმაყოფილებისაგან ფრუტუნებს, ვიღაც ზურგზე მოუვდიათ, მირბის კოკისპირულ წვიმაში ჭალა აქის უდარ დელი ბრძოლა, რომელმაც არაფერი უწყის, რომელსაც წინათგრძნობა არაფერს ეუბნება. კეისარი ცოცხალია, მაშ ყველაფერი რიგზე!

6. საღამოს, დღიური ჯაფის შემდეგ დაღლილი ხალხი დასაძინებლად წვება. ვიღაც ბავშვებს უნანავებს, ვიღაც საშინელ სიზმარს ხედავს და ჩუმად კვნესის ძილში, ერთმანეთს ჩახვევია ცოლ-ქმარი. ძილად მიგდებული ხალხი.

ამ დროს, ღამის მიუხედავად, ბრუტუსის ჩაბნელებულ ბალში პოლიტიკანები ხალხის სიმშვიდის და გულის ძილის წინაღმდეგ ქსოვენ ბადეს.

7. ვიღაცამ თქვა, ზემოურებში ყველაფერი რიგზე ვერაო. საიდანღაც მოაღწია ხმამ. ხალხი ი აღელდა. საქმეს თავი მიანებეს. მოედანზე წავიდნენ, ფიცარნაგზე, იქნებ რაიმე გავიგოთო. ფრთხილად იცდიან. ვიღრე კეისარი ცოცხალია, უნდა არზა მიართვან. მერე გვიანი იქნება. ვინ იცის, რა მოხდება?

აი, მივარდნენ კეისარს. სასოებით აჩეჩებენ ათას არზას, ხელმოწერილსა თუ ანონიმურს. იჩქარიან, ღელავენ. ეს არზები კეისრმდე არ აღწევს. აქვე, ტიბრში ნაგავივით გადაყარეს, ხალხის ჭირ-ვარამის ასობით წაბუთი.

8. ხალხი იცდის მკვდარივით გარინდებული — რაღაც იქნება. მომლოდინები ბრძოლა — ბრძოლა. მხოლოდ ერთხელ შეჰვირია ყველამ ერთბაშად, ეს როცა არამზადა კასკამ ვიღაცას გაარტყა. აიზღარბა ბრძოლა, ენა მუცელში ჩაუვარდა. მიხვდა, რომ მშევიდობას ბოლო მოეღო.

9. ფორუმზე ხმალსისხლიანი შეთქმულები გამოვარდნენ, ბრძომ უკან დაიწია. აქეთ-იქით მიაწყდა. თავზარდაცემულნი ერთმანეთს ხელს ჰკრავენ, ფეხს აბივებენ, მიწაზე ანარცხებენ. ბავშვები ტირიან, დედებს ეძებენ, გონება-დაკარგული მამა შვილს უხმობს. უკანმოუხედავად გარბიან, რომ ხოცვა-ულეტას თავი აარიდონ. ესაა ბრძოლა მეშვიდები მდგომარეობა.

10. გამოცოცდნენ თავიანთი ქუჩა-შუკებილან. უქმოდ დგხნან, ელოდებიან, ეს თამაში მაინც დამარცხა არ მოსწონთ. ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს. მოკვლა მაინც რა საჭირო იყო? ახელი რომ უარესი გამოდგეს?

უცრივ სენატორები მივარდნენ შეკრებილთ: „ამზანავებო, მეგობრებო, ძმებო და დებო! ხალხი — საზოგადოების საფუძველთა საფუძველი!“ კარდ

დროს გაახსენდათ! მეგობრულად მხარზე ხელს ურტყამენ, უხსნიან, ეთათბირებიან, არწმუნებენ. გულუბრყვილო ხალხმა აკი დაიგერა, მართლაც „საზოგადოების საფუძველი“ ვართო. ტყუილად ხომ არ მოიყვანეს ფიცარნაგზე. დაიწყო აგიტაცია. ხან ერთი ცდილობს ხალხის გადაბირებას, ხან მეორე. ბრძოლა ერთ აგიტატორს მივარდება და კვირის: „დიდება!“, ხან მეორეს და ისევ „დიდებას“ კვირის. ბრძოლა თავისთვის კეისარს ეძებს, რაკი შეჩვეულია, რომ კეისარი უსათუოდ უნდა იყოს.

11. მაგრამ ი, ერთმა პრეტენდენტთაგანმა (ანტონიუსმა) გაიმარჯვა და თან გაიყოლია ბრძოლა. პატრიოტული ლოზუნებით სიკიემდე მიიყვანა და ხალხმა თავის კონტროლი დაკარგა, გადაიქცა მეამბოცე ბრძოლა, შმაგ, ყველაფრის წამლეკ ნაკადად.

12. გამარჯვების შემდეგ ხალხი გარევეს ფიცარნაგიდან. და ი, ახლა ხალხი ისევ ხერხავს და ჩაქუჩს აკაუნებს, ჭვარს აგებს, რომელზედაც მათვე გააკრავენ, ჭანყი როგორ გაბედეთო. გარშემო, ყველა გზასა და გზაჯვარედინზე, ჯარ ცმული ბრძოლა.

13. და უცრივ ვიღაცამ (ისევ ვიღაცამ) გადაწყვიტა — ომი აუცილებელია, რათა ვიღაცას რაღაც დაგუმტკიცოთ. და ი, ისევ მივარდნენ ხალხს. „ზოირიშენი“ ისერიან პატრიოტულ ლოზუნების: „თავი შევწიროთ რომს“. ისევ დაერივნენ ხალხს. ჩაჩქანები ჩამოაცვეს და ხელთ იარალი მიაჩეჩეს. მაგრამ ხალხს ეს არ უნდა, ცდილობს გაიქცეს. მაშინ ხალხის ერთ ჭოგად თავმოყრა დაიწყეს. ესაა მობილი ბული ბრძოლა.

14. იწყება „მუშტრა“. წვრთნიან ადამიანებს, მკვლელობის მანქანებად აქცევენ, მათ გადასხვაფერებას ახდენენ. თავიდან შეგნებას აცლიან და დაპროგრამებულ მოწყობილობას უდგამენ, რომელიც მხოლოდ გარკვეულ სიგნალებს იღებს და მხოლოდ მათ სცემს პასუხს: „ზურგისაკენ! სირბილით! ნაბიჯით!“ და ა. შ. თანდათანობით თავს იჩენს წესრიგი, დაწყობილობა, ადამიანისათვის არაბუნებრივი ნაბიჯი, არაბუნებრივი საუბარი, არაბუნებრივი დამოკიდებულება. ეს უკვე ახალ წევ ულთა ბრძოლა.

15. მერე ისინი მიჰყავთ, ხოლო დები და დედები, საცოლეები და ცოლები ტირიან. ეს გამცილებული ბრძოლა.

16. ატყდა — ომი — სასაკლაო, ადამიანი — რობოტი თავის მსგავსს კლავენ დანით, თოფით, თვალის ჩინს ართმუვენ, ახრჩობენ, ხელ-ფეხს აგლევენ, ასახიჩრებენ, მღუდარეს ასხამენ, არეტიანებენ, ძარცვავენ, აუპატიურებენ, წვავენ, სიცოცხლეს უსპობენ ხელებით, მანქანებით, იარალით. ამგვარ რამეს მხეციც ვერ იზამს, ეს უკვე გამცილებული და მკვლელი ბრძოლა.

17. ბრძოლა დასრულდა. ქვეყანა გვამებით მოიფინა. შავოსანმა დედაკაცებმა იმრავლეს გზებზე. თავის მიცვალებულს ეძებენ. თავისა და სხვის მკვდრებს დასტირიან. მ ტ ი რ ა ლ ი ბ რ ბ ა.

18. მაგრამ იხალი პოლიტიკანები გამოჩნდებინ, რომლებიც ისევ იმ ძველ ლოზუნებს გაჰყირიან. ხალხი ფიცარნაგზე აღარ დგას და უკვე აღარავის უყურებს. ხალხს სული გამოაცალეს. მარტო ხელებსლა ასავსავებენ და მექანიკურად, ჩვეულებისამებრ იმეორებენ: „დიდება... დიდება... დიდება“. ეს სა- ბოლოოდ თავ გზააბნეული ბრბოა. ის ხმას არ იღებს.

დაბლა ხალხის ბრბოა, ფიცარნაგზე კი პოლიტიკანები, რომლებიც ხელი- სუფლებისათვის იბრძვიან. იქიდან, მალლიდან, თავისი საქციელით საზოგადო- ების ბედ-ილბალზე გავლენას ახდენენ. აი, ეს თამაშება სპექტაკ- ლ ში. არაფერი პათეტიკური, მთავარია მსახიობთა ვწებიანი დაინტერესება იმ პრობლემებით, რომლებიც ფიცარნაგზე წყდება. მთავარია არა გმირთა განსახიერება, არამედ კამათის, შეთქმულების, მიტინგების, გადატრიალებე- ბის და ა. შ. მოდელთა შექმნა — ესაა მთავარი სპექტაკლში. ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს თანამედროვე თეატრის უმაღლესი ოსტატობის დონეზე. უნ- და გამოირკვეს ხალხისა და პოლიტიკანების ურთიერთობა.